საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვითის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 13 აგვისტო. 2016 წ. №150 (8042), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

~~დიდ~~ რუსეთთან ~~პატარა~~ საქართველოს როდის გასვლია მართალი!

რუსეთის საგარეო უწყების შეფასებით, ოფიციალურ თბილისს არ ეყო 8 წელი იმისთვის, რომ ქვეყნის „ტერიტორიული დაშლის“ ნამდვილი მიზეზი გაეაზრებინა.

ამის შესახებ ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომლითაც უწყება 2008 წლის ომის 8 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას ეხმიანება.

„დღევანდელი რეალობა ისეთია, რომ საქართველოს ყოფილ ტერიტორიაზე არსებობს ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო — აფხაზეთის რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა. ისინი დამოუკიდებლად განსაზღვრავენ შიდა და საგარეო პოლიტიკას და საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავენ (მათ შორის საზღვრების კეთილმოწყობისა და სასაზღვრო რეჟიმის გაძლიერების გზით). თავისუფალი არჩევანით, როდესაც მჭიდრო კავშირი დაამყარეს მეგობრულ რუსეთთან, მათ მიიღეს მყარი მხარდაჭერა და დაცულობა“, — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

რუსეთის საგარეო უწყება ოფიციალურ თბილისს ადანაშაულებს, რომ ის რეალობისგან შორს არის.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო: „2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“ არ არსებობს!

„დიდი ხანია მივეჩვიეთ, რომ ქართველი პოლიტიკოსები რაციონალურ არგუმენტებს ვერ აღიქვამენ. მათთვის სულერთია, რომ „საოკუპაციო რიტორიკა“ უპირველეს ყოვლისა შეურაცხმყოფელია აფხაზებისა და ოსებისთვის, ვისთან მეგობრობისკენ თითქოსდა ისწრაფვის თბილისი “, — ნათქვამია განცხადებაში.

რუსეთის საგარეო უწყება ასევე აცხადებს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის განცხადებაში „ტრადიციულად“ ახსენა „2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“, რაც რუსული უწყების შეფასებით, „მითიურია.“

„იძულებული ვართ, კვლავ შევახსენოთ, რომ ასეთი დოკუმენტი არ არსებობს. სინამდვილეში, საუბარია „კონფლიქტების დარეგულირების ექვს პრინციპზე“, რომელიც რუსეთის და საფრანგეთის პრეზიდენტებმა ჩამოაყალიბეს და ქართულ, ოსურ და აფხაზურ მხარეებს ცალ-ცალკე შესთავაზეს ხელმოსაწერად“, — ნათქვამია რუსული უწყების განცხადებაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აკრიტიკებს უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსაც და უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოს მიმართ გამოხატული სოლიდარობისთვის.

„ეს შემთხვევითი არ არის — კიევი და თბილისი თითქოს ეხმარებიან ერთმანეთს, „რუსული აგრესიის მსხვერპლის“ როლში უკეთესად შევიდნენ. ამის ნაცვლად, მათთვის უმჯობესია, გადახედონ თავის პოლიტიკას“, — აცხადებს რუსეთის საგარეო უწყება.

ნუგზარ ფოფხაძე: ③
ქუნწი ისდის უფრო მეტს, ვიდრე...

არამზადების გალერეა ④
ყველაფერს ხომ აქვს დასასრული?!

ნაცკაცუნები

აჭარისა და გურიის სანაპიროზე ისევ ანტისანიტარიაა! ⑤

„თავისუფალი დემოკრატები“ გაიყიდნენ! ②

„ნათლულის სპეცოპერაციის“ მოწმე: „წიხლებს გვირტყამდნენ, ქამრებით გვცემდნენ, მაცივრიდან წყალს იღებდნენ და გვასხამდნენ“ ③

გურამ პეტრიაშვილი: ⑥ ჟამი არ იცდის...

⑧ ქართველი ახალგაზრდის წარმატება დიდ ბრიტანეთში

„დიდგორის ჯვრის“ ლაურეატები

დიდგორის ველზე მიმდინარე საზეიმო ღონისძიებას ესწრებიოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი,** ვიცე-პრემიერი **დიმიტრი ქუმსიშვილი** და თავდაცვის მინისტრი **ლევან იზორია**. დიდგორის მემორიალთან გამართულ ღონისძიებაზე, საბრძოლო მოქმედებების დროს გამოჩენილი მამაცობისა და თანამებრძოლთა სიცოცხლის გადარჩენისთვის, „დიდგორის ჯვრის“ მედლით დაჯილდოვდნენ მაიორი **ზაზა ცერცვაძე** და სერჟანტი **გიორგი ჭოველიძე**.

დიდგორის კომპლექსის რეაბილიტაციას 2 მილიონი მოხმარდება

გუშინ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, დიდგორობის დღესასწაულის აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა, მისმა მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ დიდგორის მემორიალური კომპლექსი დაათვალიერეს.

საქართველოს მთავრობის დავალებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, დიდგორის მემორიალური კომპლექსის რეაბილიტაციასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას იწყებს. პროექტი, რომლის ღირებულება დაახლოებით 2 მლნ ლარია, ხელს შეუწყობს თეთრიწყაროსა და მცხეთის მუნიციპალიტეტების ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დიდგორის მემორიალურ კომპლექსის მთელ ტერიტორიაზე მემორიალის ცალკეული ელემენტების: ქანდაკებებისა და ზარების რეაბილიტაცია. ნიჩბისი-დიდგორი-დიდითონეთის საავტომობილო გზის ყველაზე გამორჩეულ ადგილებში მოეწყობა 3 გადასახედი (მისასვლელი გზების ჩათვლით). ასევე, მოეწყობა ავტოსადგომი და საპირფარეშოები.

პროექტის ფარგლებში, ასევე, გათვალისწინებულია ტურისტული საინფორმაციო ცენტრების „ზედა საყუდარისა“ და „ქვედა საყუდარის“ მოწყობა. პროექტის დასრულების შემდეგ დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ დიდგორის ისტორიას, მიიღონ სხვადასხვა სახის ინფორმაცია, შეიძინონ ქართული სუვენირები. საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს კონსულტაციას გაუწევს დიდგორის მემორიალური კომპლექსის ავტორი, მოქანდაკე **მერაბ ბერძენიშვილი**.

დიმიტრი ქუმსიშვილი: მჯერა, მომავალშიც არაერთხელ გავიმარჯვებთ სხვადასხვა გამოწვევებზე

„მინდა, დღევანდელი დღე მთელს საქართველოს მივულოცო. საქართველოსთვის დიდგორობა ყოველთვის იყო და რჩება გამარჯვების დღედ. ეს არის დღე, როდესაც ქართველმა კაცმა გამოავლინა თავისი სიმამაცე, შეიკრა ერთ მუშტად და გაიმარჯვა მასზე უზომოდ დიდ ძალაზე. მე მჯერა, რომ ქართველებს შეგვწევს ძალა და უნარი, მომავალშიც არაერთხელ გავიმარჯვოთ სხვადასხვა გამოწვევებზე — შეიძლება ეს არ იყოს ხელჩართული ბრძოლა, მაგრამ ყოველთვის არის გამოწვევა, რომელსაც სჭირდება ერის გაერთიანება“ — აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი „დიდგორობის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს საქართველოს პრემიერ მინისტრთან, გიორგი კვირიკაშვილთან და მთავრობის წევრებთან ერთად დაესწრო. ტრადიციულად, დიდგორის მემორიალთან, სახალხო ზეიმის ფარგლებში კონცერტი, ქართული საბრძოლო ხელოვნების თეატრალიზებული წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები, დოღი, ტურნირი ჭიდაობასა და მკლავჭიდში და სხვა ღონისძიებები გაიმართა.

ლევან ოზორია საქართველოში აკრედიტირებულ ელჩებს შეხვდა

შეხვედრაზე საქართველოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თავდაცვის სფეროში მიმდინარე და სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილებოდა. საუბარი შეეხო თავდაცვის სამინისტროს ახალ, ოთხწლიან სტრატეგიას, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცებას ითვალისწინებს.

„მათ აღგვითქვეს სრული მხარდაჭერა იმ კურსის გატარებაში, რასაც ნატოსა და ევროკავშირში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაცია ჰქვია. ჩვენ გავაგრძელებთ ორმხრივ თანამშრომლობას ცალკეულ ქვეყნებთან. მათ განსაკუთრებული ინტერესი გამოხატეს ასევე, შემდგომი ოთხი წლისთვის ჩვენი ახალი სტრატეგიის შემუშავების მიმართ. ასევე გამოთქვეს მზადყოფნა, რომ ექსპერტები, მათ შორის, სამხედრო ატაშეები, რომლებიც აქ არიან წარმოდგენილები, აქტიურად იყვნენ ჩართულები დოკუმენტის შემუშავებაში. ასე რომ, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ისე ცალკეული ქვეყნების ექსპერტებთან, ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვითანამშრომლებთ შემდეგი დღეების განმავლობაში, რათა ჩამოვაყალიბოთ ერთიანი სტრატეგია თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით“, — განაცხადა ლევან იზორიამ.

ალექსანდრე ჯეჯელავა: უმაღლესი განათლება უნდა იყოს მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, ვინც განსაკუთრებულ აკადემიურ წარმატებას აღნევს

„ეროვნულ გამოცდებში აბიტურიენტების დაახლოებით 16 პროცენტი ჩაიჭრა, რაც ძალიან ცუდ შედეგად იქნა შეფასებული, რასაც მე არ ვიზიარებ“, — ამის შესახებ განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ თავის მიმართვაში განაცხადა და ახალგაზრდებ მოუწოდა უმაღლესი განათლების ალტერნატივა განიხილონ, მათ შორის მინისტრმა აქცენტი გააკეთა პროფესიულ განათლებაზე.

„ძალიან ბევრ ქვეყანაში და ჩვენთანაც ასე უნდა იყოს, უმაღლეს განათლებას იმიტომ ჰქვია უმაღლესი განათლება, რომ ის არ არის საყოველთაო. უმაღლესი განათლება უნდა იყოს მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, ვინც განსაკუთრებულ აკადემიურ წარმატებას აღწევს. ეს 16% სხვა ქვეყნებთან შედარებით არის საკმაოდ დაბალი, სხვა ქვეყნებში ეს ციფრი 25% და მეტია.

ბევრი ადამიანი, ვინც ბარიერი ვერ გადალახა, წერს რომ მათი ცხოვრება დასრულდა და ა.შ. მე მინდა დავარწმუნო ჩვენი ახალგაზრდები, რომ ძალიან ბევრი კარგი ალტერნატივაა, ესაა პროფესიული განათლება, ტრეინინგები, ასევე მომავალში კიდევ ცდა. ჩვენ გვჭირდება პროფესიონალები. ძალიან ბევრი უმუშევარი იურისტი გვყავს, მაგრამ ძალიან გვიჭირს, მაგალითად, ვეტერინარები, აგრონომები, ან პროგრამისტები. ეს ყველა არის პროფესიული მიმართულების საქმიანობა, რომელზეც ადამიანმა შესაძლოა, არ დახარჯოს 4 წელი. მოვუწედებთ ყველა ახალგაზრდას, რაც შეიძლება მეტი პროფესია აირჩიოს და მეტი ალტერნატივა განიხილოს“, — განაცხადა მინისტრმა.

„მიხეილ სააკაშვილის დაბრუნება წარმოუდგენლად მიმაჩნია“...

ექსპერტ ზაზა შათირიშვილის განცხადებით, საქართველოში მიხეილ სააკაშვილის დაბრუნების შანსი იმდენად მცირეა, რომ შეიძლება, გამოვრიცხოთ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ რეალობაში ასეა.

„პირველ რიგში იმას ვიტყვი, რომ ამას ხალხი უბრალოდ არ შეეგუება, გამორიცხულია, ქართველმა ერმა საქართველოში სააკაშვილის დაბრუნება დაუშვას. ყველაზე ცუდი სცენარი ამ შემთხვევაში არის სამოქალაქო ომი. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია მე პირადად. ამის რესურსი არ არსებობს, არ აქვს პარტიას ამის რესურსი და არც ამის მოლოდინი არსებობს საზოგადოებაში.

საზოგადოებას მიშა არ სჭირდება და ამიტომ, იმაზე გათვლა, რომ დაბრუნდეს და ხალხი გვერდში დაუდგება, სისულელეა“, როგორც ცნობილია, მასზე ძებნაა გამოცხადებული და დიდი შანსია, საქართველოში ჩამოსვლისშემთხვევაში, ის დააპატიმრონ“.

ესეც მშვენიერი არგუმენტია. ჩვენ გვახსოვს ჰალსტუხის ჭამა, ვერტმფრენის დანახვაზე გაქცევა და ა.შ. ჩვენ ვნახეთ მისი სიჩაუქე როგორც მხედართმთავრისა და როგორც ვაჟკაცის. ვერ ვიტყვით, რომ ის არის უშიში ვითარცა უხორცო. ის მოშიში და ხორციანია. სხვათაშორის, მისი წინამორბედი ედუარდ შევარდნაძე ამ მიმართულებით იყო მამაცი ადამიანი, რაც პოლიტიკოსისთვის აუცილებელი თვისებაა. სააკაშვილი დარჩება როგორც სხვა ფიგურები, მაგალითად, ისეთი როგორიც არის იგორ გიორგაძე. რაც წავიდა, იმის შემდეგ ჩამოდის და ვერ ჩამოვიდა. მიშაც ასე იქნება, გიორგაძესავით“, — განაცხადა ზაზა შათირიშვილმა.

„თავისუფალი დემოკრატები“ გაიყიდნენ!

„თავისუფალ დემოკრატებში“ აცხადებენ, რომ ყოფილი თანაგუნდელები გაიყიდნენ. ეს შეფასება პარტიაში მას შემდეგ გაკეთდა, რაც გორის ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით წეწვაძემ პარტია დატოვა და „ქართულ ოცნებას“ შეუერთდა. „თავისუფალი დემოკრატების“ გორის ორგანიზაციის წარმომადგენელი, გორის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თამარ თედლიაშვილი აცხადებს, რომ დავით წეწვაძეს აიძულეს ამ განცხადების გაკეთება. თედლიაშვილი ასევე ეხმაურება რამდენიმე დღის წინ თამაზ შიოშვილის მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც პარტიას გორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ჰყავდა წარდგენილი და რომელმაც ასევე დატოვა „თავისუფალი დემოკრატები“. თედლიაშვილი ამბობს, რომ შიოშვილს მმართველმა გუნდმა გუბერნატორის პოსტი შესთავაზა, რაც შიოშვილს, თედლიაშვილის თქმით, ყოველთვის სურდა:

თამარ თედლიაშვილი თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის შანსებზეც ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ ის ერთხელ უკვე იყო გორის ხელისუფლებაში, თუმცა რეგიონისთვის სასიკეთო ვერაფერი გააკეთა. თედლიაშვილი ოქრუაშვილის წარსულ საქმიანობაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ყოფილი მაღალჩინოსანი ბიზნესმენებისთვის კუთვნილი ქონების წართმევაშიც იყო მხილებული:

„გორში არსებობენ ადამიანები, რომლებსაც წაართვეს ბიზნესები, მიაყენეს ძალიან დიდი ფინანსური ზარალი. მაგალითად, გიორგი ორთანიზაშვილი, რომელიც წილს გორის წისქვილკომბინატში ფლობდა, ირაკლი ოქრუაშვილმა კი მას ეს ქონება წაართვა და ამის აღიარება ტელევიზიით მოუხდა“.

თამარ თედლიაშვილის თქმით, ირაკლი ოქრუაშვილი გორში მისი ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების გამო არ უყვართ, თუმცა იმის გამო, რომ ოქრუაშვილი ე.წ. „ოქროს მოწმეა“ ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეში, სწორედ ამ ბერკეტებს იყენებს და მმართველ ძალასთან არის გარიგებული. რაც შეეხება „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ირაკლი ალასანიას შანსებს გორში, თამარ თედლიაშვილი ამბობს, რომ ის უკონკურენტოა.

ძუნწი იხდის უფრო მეტს, ვიდრე...

ფიქრები ერდოღან-პუტინის შეხვედრასთან დაკავშირებით

დიპლომატების და პოლიტიკოსებისთვის საყურადღებო მასალაა გამოქვეყნებული თურქულ პრესაში.

საუბარია იმ მეთოდებზე და ადამიანებზე, რომელთა მეშვეობითაც მოხდა პუტინ-ერდოღანის „შერიგება“ და რუსეთ-თურქეთის ისტორიაში ახალი ეტაპის დაწყება.

მეჩვენება, რომ ცოტა არ იყოს, ჭკუის სასწავლებელიც კი არის ეს პუბლიკაცია.

დიპლომატებმა (და არა მარტო) კარგად იციან, რომ „კულისებში“ უხმაურო მუშაობას ზოგჯერ მოაქვს უფრო ეფექტიანი შედეგი, ვიდრე...

...1961 წელს, ამერიკელი ჟურნალისტი ქალის, „ემის“ პრესტიჟული პრემიის ხუთგზის ლაურეატის ლუსი ჯარვისის და „იზვესტიის“ მთ. რედაქტორის ალექსი აჯუბეის (ხრუშჩოვის სიძე) საიდუმლო მოლაპარაკებების შედეგად მოხერხდა ჯონ კენედისა და ნიკიტა ხრუშჩოვის შეხვედრა ვენაში. ეს „კუბის კრიზისის“ დროა, როცა მსოფლიო პრაქტიკულად იდგა ბირთვული ომის წინაშე. ეს გადაწყვეტილება იმდენად საიდუმლოდ მიიღეს, რომ მის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრეი გრომიკოს ვენაში დელეგაციის გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე აცნობეს. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, „კაგებემაც“ ყველაფერი ბოლოს გაიგო.

მსოფლიოს დიპლომატიურ ისტორიაში არაერთი ფაქტი მოიძებნება, როცა „კულისებში“ მზადდებოდა გადაწყვეტილებები, რომლებიც ცვლიდნენ ქვეყნების ბედს.

აგერ, ჩვენი უახლესი ისტორიის ფურცლებიც: კულისების მეშვეობით მოხდა გადაწყვეტილების მიღება ელცინ-შევარდნაძე-არძინბას შეხვედრის შესახებ 1993 წლის 3 სექტემბერს.

კულუარული დიპლომატიის შედეგი იყო აზერბაიჯან-საქართველოს ლიდერების პირადი ურთიერთობის ნორმალიზაცია, მრავალწლიანი „გამყინვარების“ შემდეგ, რასაც მოყვა დიპლომატური ურთიერთობის სრული ფორმატით აღდგენა, პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის ოფიციალური ვიზიტი თბილისში და...მაგალითებს რა გამოლევს.

ამიტომ ამ „გზის“ და „მეთოდების“ აღდგენა-გამოყენება-გაღრმავება სასიკეთოდ წაადგებოდა ქართულ დიპლომატიას და სახელმწიფოს. მით უმეტეს მაშინ, როცა ზოგიერთ მეზობელთან ჯერ კიდევ არამყარია ნდობის ფაქტორი... და არა მარტო მეზობლებთან. თუნდაც სტრატეგიულ პარტნიორებთან მიმართებაში, რამეთუ აშკარაა, რომ დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობის, საქართველოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის შესახებ იქაურ ელიტას, არცთუ იშვიათად, აქვს ცალმხრივი ინფორმაცია (ეს რბილად რომ ვთქვათ). ამაზე მეტყველებს ყოველდღიური ცხოვრება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა ასეთი კულუარული მუშაობა (პარალელურად სახელმწიფო დიპლომატიური გზებისა) გარდამავალ პერიოდში. თუნდაც, შეერთებულ შტატებში, როცა მთავრდება წინასაპრეზიდენტო არჩევნების პერიოდი და კაცმა არ იცის, როგორ დამთავრდება ეს „მარათონი“.

და კიდევ ერთი:

როგორც წესი, კულისებში მუშაობენ ისეთი ადამიანები, რომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა არ „ყვირის“, თუმცა მათი წონა და ავტორიტეტი განუზომელია...

სულ ახლახან, საუკუნეს მიტანებული ჰენრი კისინჯერი სტუმრობდა პუტინს... რა თქმა უნდა, არა ჭადრაკის სათამაშოდ. გავიხსენოთ ექსპრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის ვიზიტი პრეზიდენტ გამსახურდიას მმართველობის დასაწყისში. ამ ვიზიტის მიზანი გახლდათ ამერიკული პოლიტიკის პატრიარქის პირადი დაკვირვებების და რეკომენდაციების მიწოდება აშშ მეთაურისადმი. ეს ინფორმაცია უშუალოდ ბატონი ნიქსონისგან გვაქვს.

როცა საქმე საქართველოს ინტერესებს ეხება, უპრიანია მმართველმა „ძალამ“ დაივიწყოს პირადი თუ „პოლიტიკური“ წყენა, საკუთარი ფინანსური თუ სხვა ინტერესები, დადგეს საკუთარ ამბიციებზე უფრო მაღლა და სამშობლოს სამსახურში ჩააყენოს ყველა ის ადამიანი (ასაკის, პარტიული კუთვნილების, „აგენტობის“ მოგონილი და სასაცილო იარლიყების მიუხედავად) ვისაც გამოცდილების, ნიჭიერების, პირადი კავშირების გამო ხელეწიფება ჩვენი სახელმწიფო და ეროვნული პრობლემების წარმატებული გადაწყვეტის ხელშეწყობა.

და ამისათვის არ უნდა დავიშუროთ არავითარი რესურსი. არც პოლიტიკური, არც ფინანსური... თანაც, დროულად!



რამეთუ, ცნობილია, საბოლოოდ, ძუნწი იხდის უფრო მეტს, ვიდრე...

ჩამოდით და მყარად დადექით მიწაზე, ამბიციურო ბატონებო და ქალბატონებო!

ნუგზარ ფოფხაძე



„ნავთლულის სპეცოპერაციის“ მოწმე: „წიხლებს გვირტყამდნენ, ქამრებით გვცემდნენ, მაცივრიდან წყალს იღებდნენ და გვასხამდნენ“

თბილისის საქალაქო სასამართლოში ე.წ. ნავთლულის სპეცოპერაციის საქმის განხილვა გრძელდება. გუშინდელ პროცესზე პროკურატურის მოწმეები დაიკითხნენ. ერთ-ერთმა მოწმემ, რუსთავის პირველი დაწესებულების ყოფილმა პატიმარმა, ბერდია მესხმა ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა წამებაში დაადანაშაულა. საუბარია 2006 წლის იანვარზე.

„სულ 6 პატიმარი გადაგვიყვანეს, მათ შორის გია გორგაძე. ბაჩომ და მეგისმა, ასევე სპეცრაზმელებმა გვცემეს. გვეუბნებოდნენ, თქვენ გინდოდათ თანამშრომლების დახოცვაო, გეგმავდით გაქცევასო. გადაგვიყვანეს თბილისში, მეშვიდე დაწესებულებაში, სადაც წამება გაგრძელდა. წიხლებს გვირტყამდნენ და ქამრებით გვცემდნენ, შემდეგ მაცივრიდან წყალს იღებდნენ და გვასხამდნენ“, — განაცხადა ყოფილმა პატიმარმა.

ე. წ. ფარული ჩანაწერების საქმეზე ბრალდებულ სამ პირთან საპროცესო შეთანხმება მიღწეულია

ამის შესახებ ბრალდებულ ირაკლი ფხალაძის ადვოკატმა ნანა ფილაურმა სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„სისხლის სამართლის კოდექსში“ შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების საკითხი თავისი ინიციატივით განიხილა და პატიმრობაში დატოვა ბრალდებულები. რაც შეეხება საქმის გამოყოფას, კვლავ არ მომხდარა ბრალდებულთა საქმის გამოყოფა იმ ბრალდებულების მიმართ, ვისთანაც საპროცესო შეთანხმება ფაქტობრივად მიღწეულია“, — განაცხადა ადვოკატმა ნანა ფილაურმა.

საქმეში კიდევ ერთი ბრალდებულის ზურაბ ჯამალაშვილის ადვოკატის გიორგი ფოფხაძის თქმით კი, პროკურატურა ამ დრომდე აღარ საუბრობს საქმის გამოყოფის შესახებ — **„ბრალდების მხრიდან პროცესზე გახდა საჯარო, რომ აპირებთ საპროცესო შეთანხმებას და 3 პირზე საქმის გამოყოფას, თუმცა ეს თემა მიჩუმდა და საერთოდ აღარ არის საუბარი“,** — განაცხადა გიორგი ფოფხაძემ.

ე. წ. ფარული ჩანაწერების საქმეზე სასამართლო სხდომა 21 სექტემბრისთვის გადაიდო.

უბლოკო სტატუსი არის ჩვენი ქვეყნის გამთლიანების და წინსვლის ერთადერთი რეალური შესაძლებლობა

„დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის იმ ინიციატივას გამოეხმაურა, რომელიც გულისხმობს კონსტიტუციაში ქვეყნის ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვის დასადასტურებლად ცვლილების შეტანას.

საკუთარი გადაწყვეტილება უსუფაშვილმა იმით ახსნა, რომ მომდევნო ორშაბათს პარლამენტში ბიუროს სხდომა იმართება, რომელზეც განიხილება ნინო ბურჯანაძის მიერ ინიცირებული საკითხი საქართველოსთვის უბლოკო სტატუსის მინიჭების შესახებ და აღნიშნული ინიციატივისთვის „დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერი გააკრიტიკა.

თავის მხრივ, ნინო ბურჯანაძე მზადყოფნას გამოთქვამს, უბლოკო სტატუსთან დაკავშირებით დებატები პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან და უბლოკო სტატუსის მოწინააღმდეგე ყველა პოლიტიკურ ლიდერთან გამართოს.

„საქართველოს მოსახლეობის გადასაწყვეტია, რა ინიციატივას უნდა დაუჭიროს საქართველომ მხარი. უბლოკო სტატუსი არის ჩვენი ქვეყნის გამთლიანების, ეკონომიკური წარმატების და წინსვლის ერთადერთი რეალური შესაძლებლობა.

რაც შეეხება სპეკულაციებს, სპეკულაცია არის ის, რასაც აკეთებდა ამდენი ხანი ქართული პოლიტიკური სპექტრის ძალიან ბევრი წარმომადგენელი, მათ შორის, სამწუხაროდ, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებიც. სპეკულაცია არის ნატო-ში გაწევრიანებაზე მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა“, — აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

ნაციონალი ბექა ბასილაია ფოთელებს „აშენებს“...

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა დავით ბაქრაძემ ფოთის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ადვოკატი ბექა ბასილაია წარუდგინა. წარდგენას გიგა ბოკერია და ელენე ხოშტარია ესწრებოდნენ. ნაციონალური მოძრაობის წევრებმა ფოთის მოსახლეობას საარჩევნო პროგრამაც გააცნეს.

„ფოთში ჩვენ ვასახელებთ ადამიანს, რომელიც მოდის ახალი ენერგიით, ღირებულებებით, ცოდნით, ადამიანს, რომელიც პოლიტიკაში მოდის სუფთა ხელებით და ეს არის სწორედ ჩვენი მიდგომა ზოგადად საქართველოში“, — განაცხადა პარტიის ლიდერმა დავით ბაქრაძემ.

„ჩვენ ფოთს ავაყვავებთ, ფოთი გახდება მსხვილი რეგიონალური მასშტაბის ტურისტული ცენტრი. ფოთს ექნება თავისი საფეხბურთო სტადიონი, ფოთში დაიგება შიდა გზები, ყველა ქუჩაში, ყველა ჩიხში მივალთ“, — აღნიშნა ბექა ბასილაიამ.

არამზადების გალერეა

ირაკლი აბესაძისნაირი თითქოს და ულიმღამო, ლაჩარი და შეუმჩნეველ-უფერული არსებანი, სინამდვილეში, საკმაოდ მოულოდნელგაუთვალისწინებელნი, გაცილებით მავნენი და საშიშნი, დიდი ზიანისა და ზარალის მიმყენებლები ბრძანდებიან. ამიტომაც არის საჭირო და აუცილებელ-დროული, გადეპუტატებული ნაცკაცუნას სასწრაფოდ გაუვნებელყოფა, მტკიცედ და ღონივრად ალაგმვა.

ყველაფერს ხომ აქვს დასასრული?!

ამა თუ იმ პიროვნებისთვის ზედმეტსახელისა თუ ვინესთან და რაიმესთან შედარება-მიმსგავსება, ქართველებს კარგად გამოგვდის და არ გვეშლება. ამჯერადაც არ გაგვიჭირდა და საქართველოს გამყიდველად მოვლენილი „ნაციონალური მოძრაობის“ „ვერხუშკის“ მამრ და მდედრ წევრებს ნაცკაცუნები და ნაცქალუნები შევარქვით.

გაზეთი „ილორის“ 2014 წლის 288-ე ნომერში, ერთ-ერთი ნაცკაცუნასთვის, კიდევ უფრო ზუსტად მორგებული შედარება ამოვიკითხე. ავტორს იგი არსება ფქვილში ჩავარდნილი თაგვისთვის შეუდარებია. და, როცა, მინიშნებულის პირისახე წარმოვიდგინე, შედარება შეუმცდარი გამოდგა.

იმავე გაზეთი 2016 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორმა, სააკაშვილის კუთვნილი „რუსთავი-2“-ის „ნაჩალნიკი“, ნაციონალად შობილი ცნობილი მექრთამე-კორუფციონერი და მრავალ თანამდებობა გამოცვლილი, პირ-ტუჩზე გულსამრევად გაპუტულ-გაწეწილი წვერშემოვლებული ე. წ. ბლანჟეანი ნიკოლოზ გვარამია „პირფანჩარად“ სახელშერქმეულად წარმოგვიდგინა. შედარება, ამჯერადაც უნაკლო გამოდგა და უკეთესს, ალბათ ვერავინ მოიფიქრებდა.

თბილისის მერიის იურიდიული სამსახურის ყოფილი უფროსი, თითქოსდა მელანქოლიურ-ულიმღამო, სიტყვაძუნწი, უენო და მუდო; უეშმაკო და მჭადიდან ნახშირის ვერ გამომრჩევი, მორიდებულ-მოკრძალებული ირაკლი აბესაძე, სინამდვილეში სრულიად საპირისპირო თვისებებ-შესაძლებლობების პერსონა გამოდგა. სწორედ მასზეა ნათქვამი: „რაც მიწის ზემოთ არის, ორი იმდენი მიწის ქვეშააო...“ არაკაცურად ქვეშ-ქვეშამ და ლაჩარ-გაიძვერამ, თბილისის საკრებულოში შემძვრალმა, ისე მოულოდნელად და ძალუმად მოიქნია ის გამხმარი კუდი, რომ მოწინააღმდეგეები ერთმანეთზე მიყოლებით „მიაწვინა“. ესეც არ იკმარა და ბოლო ხანს განსაკვირვად ხმაგაღებულმა უგულავას მუზმუზელა პირისფარეშმა, მათ ისეთი „სლაბი ტოჩკები“ მოუძებნა, ისე „ზუსტად“ უმიზნებს და ისეთ „რეჩებს ურტყამს“, რომ სათქმელ-შესადარებელს „აღარაფერს“ უტოვებს.

ის, რომ ქვეყნის მოღალატე-გამყიდველმა დორბლმდინარე გიგა უგულავამ გაბედა და გაღატაკებული თბილისელებისგან წაგლეჯილი ფულით შეკოწიწებულ ხაზინაში თავისი დონდლო-ბანჯგვლიანი ტორი გაბედულად ჩაყო; წლების განმავლობაში რომ ღონივრად ურია და ბლომად ამოყოლილ მილიონებს ხარბად იჯიბავდა, ამას, თავისი ქვემძრომი ხელქვეითი ლაქია ირაკლი აბესაძის ხელშეწყობით სჩადიოდა. მადადაუმცხრალი ბაცაცა მერი არც ისე ბრიყვი იყო, არხეინად მოეპარა ხალხის ფული. კარგად იცოდა, რომ ნაქურდალი, „შესრულებული სამუშაოებით და გაკეთებული საქმეებით“ იურიდიულად უნდა დადასტურებულიყო; უტყუარად, ეჭვშეუტანლად და ოფიციალურად გაფორმებულიყო.

დიახ, მოპარულ-მითვისებულ ფულს, შრომით მოპოვებული უნდა დარქმეოდა. ამას კი ძალზედ მშვიდად და გაბედულად სჩადიოდა მარადჟამ გაყინულ-გაცრეცილსახიანი იურიდიული სამსახურის უფროსი. თბილისის ქურდი მერის ერთ-ერთი მარჯვენა ხელი და საბრალო მონა-ლაქია, შეფს აუღელვებლად უკანონებდა უკანონობას; დანაშაულებრივად უფარცხავდა, ნაირ-ნაირი ხრიკებფანდებით უფორმებდა მილიონების მოპარვა-მითვისების შავბნელ ოპერაციებსა და საქმეებს. ვფიქრობთ, გაუმაძღარი და ძუნწი მერი, კმაყოფილი იქნებოდა ჩუმჩუმელა ხელის ბიჭის გულისამრევი გართულების და იმ „დაკანონებული“ ნაქურდალიდან რაღაცას გაიმეტებდა „ნაღვაწისთვის“ საფასურის გადასახდელად. ასე იჯიბავდა იმ ნაქურდალიდან წლების განმავლობაში, დადგენილი „სტავკით“ გადმოგდებულ ფულს, იურიდიული სამსახურის გაიძვერა, გაქვავებულსახიანი მზაკვარი უფროსი.

2012 წლის ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნების დროს გავარდნილმა მეხმა გამანადგურებელი დარტყმა უთავაზა ნაციონალებს. ქვეყნის დამაქცევარმა დამნაშავეებმა თითქოსდა არ შეიმჩნიეს უძლეველობისა და ხელშეუხებლობის თანდათანობით შესუსტება და ადრინდელივით პირველობის შენარჩუნებას ჩაებღაუჭნენ. უჯიშო არსებანი გასაკვირი შეუპოვრობით ფართხალებდნენ ჯოჯოხეთური რეჟიმის აღსადგენად; შურისძიების სურვილით გონდაკარგულებსა და დაბრმავებულებს, რევანშის წყურვილი ახრჩობთ.

ერთი პირველთაგანი ამას დაუფარავად და თამამად ამჟღავნებდა წლების მანძილზე ქვეყნის ნგრევა-გაპარტახებაში, ფულის მოპარვაში და წონის გაორმაგებაში უცხოტომელ ბელადს გაჯიბრებული თბილისის მერი. ზღვარს გადასული ცინიზმით, თავისუფლად მონავარდე-მოგრიალე დასცინოდა და შეურაცხყოფდა, სამარცხვინოდ ხელფეხშებორკილ და დადუმებულ ხელისუფლებას.

მაგრამ, ქურდსა და ავაზაკს მაინც დაუდგა დღე უსიამო და გამოსაფხიზლებელი. თბილისის ბიუჯეტის გამომხვრელ-გამნიავებელი მთავარ პროკურატურაში იხმეს. თანაგუნდელი ყაჩაღებისა და კმარელ-კომკავშირული ჯოგის თანხლებით, სიცილ-ანგლობით გამოცხადდა. ცხადია, უერთგულესი ყმა და შავბნელ საქმეთა მიმჩუმათებელი, მართლა ფქვილში ჩავარდნილი თაგვივით თვალებდაცეცებული იურიდიული სამსახურის უფროსიც იქ დაცუნცულებდა და უჩუმრად ამხნევებდა „უდანაშაულო და ცამდე მართალ“ ბოსს.

მას მერე, კიდევ რამდენჯერმე მიიყვანეს ქვეყნის მოღალატე გიგია უგულავა პროკურატურაში. შავ და უკეთურ საქმეთა მკეთებელს ყოველთვის თან ახლდა მისი „უდანაშაულობისა და სიმართლის დამამტკიცებელი უტყუარი, წყალგაუვალი იურიდიული საბუთების“ შემთითხვნელი ხელქვეითი ირაკლი აბესაძე. რას მოიფიქრებდა გიგი მერის პირისფარეში, მასაც როდისმე თუ მოუწევდა იქ მისვლა. და, მოუწია ბაცაცუნას დაკითხვაზე მისვლის ჯერი.

შეფისგან ნავარჯიშევ-ნამეცადინევი, გაყინულ-გაცრეცილ სახეზე ნაძალადევად ღიმილგადაფენილი წარუდგა გამომძიებლებს. მართალია, დაკითხვის მერე ხელებზე ბორკილი არ დაადეს, მაგრამ არა გვგონია, საბოლოო ყოფილიყო იქ მისი მისვლა-გამოცხადება.

ამასობაში, ციხეში პატრონგამომწყვდეულ იურიდიული სამსახურის უფროსს, გიგის მიერ თბილისის საკრებულოდან გადმოპატიჟებული მგზნებარე „ნაციონალკა“ სევდია უგრეხელიძე დაუნიშნეს „ხაზეიკა-ნაჩალნიცად“. რამდენიმეთვიანი შეთანხმებული და საეჭვოდ მორგებული ურთიერთსაქმიანობის მერე, ალბათ, ორივესთვის საკმაოდ ხელსაყრელ-სარფიანი გახდა ამგვარი სამსახურებრივი ცვლილება. დარწმუნებული ვართ, ღვარძლიანი და ენამწარე დიაცი, მთლად გიგიასნაირად არ გაუტევდა და მასავით ხარბად არ ამოურევდა ხელს მერიის ხაზინაში. თუმცა, ნაციონალური სული, ბუნება და მადა, წესითა და კანონით ალბათ, მაინც თავისას იზამდა. ისე რომ, მერის მოვალეობის შემსრულებელი სევდია, ერთგვარად დამშვიდებულ-დაწყნარებული იქნებოდა. ყველანაირ დასაეჭვებელ-დამაფიქრებელი ოპერაციების ჩაფარცხვაში გაწაფულ-დაოსტატებული იურიდიული სამსახურის უფროსი, ყველაფერს ისე გააფორმებდა და თვალს ისე მიაფარებდა, რომ კაციშვილი ვერა იპოვნიდა მრუდედ და უკანონოდ გაკეთებულ-ჩადენილს.

და, ეს ყველაფერი, უცხვირპირო და უგერგილო ირაკლი აბესაძის, პატრონებისადმი არაკაცური და მონური ერთგულება, სრულიად საკმარისი გამოდგა მისი თბილისის მერის მოადგილედ დასანიშნად. საბრალო ნაცკაცუნას ასეთნაირად „გადიდკაცებამ“, ეტყობა მისი ჯადოსნურ-მეტამორფოზული გარდასახვა გამოიწვია და ყველას გასაკვირვად, სრულიად საპირისპიროდ განსხვავებულ სუბიექტად წარმოჩინდა. მოულოდნელად ხმაგაღებულ-ტონაწეულმა, მრავალ დანაშაულებრივ საქმეში წილჩადებულმა, ჟურნალისტებთან საუბარიც კი დაიწყო დედაქალაქისა და თბილისელების სამომავლო სასიცოცხლო-საარსებო საქმეთა „ამოქმედების“, საკუთარ „შეხედულება-მოსაზრებების“ შესახებ.

უცხოტომელი პატრონისგან ზურგგამაგრებული და წაქეზებული, მანამდე ლუჩუნა და მუდო ნაცკაცუნა, ენადამოკლებული ვეღარავინ იხილა. ნურას უკაცრავად! ყოფილ „ნაჩალნიცა-ხაზეიკასთან“ დუეტში ჩართული, მოუსვენრად ყელყელაობს და ნოუთბუქში რაიმე „საეჭვო-სენსაციურის“ ამოკითხვისთანავე სიტყვამოთხოვნილი, „შავ დღეს აყრის“ მისთვის საძულველი უმრავლესობის წევრებს. თანაპარტიელებისგან მხარდაჭერილი, ხელისუფლებასაც გადაწვდება ხოლმე და მიზანმიმართულად, ტრადიციული ნაციონალური უტიფრობით ბრალს სდებს და შეურაცხმყოფელი კრიტიკის ბუქს აყენებს. ჟურნალისტებთანაც საკმაოდ გათამამებული დაუფარავად უმხელს „ოპოზიციური უშეღავათო ბრძოლის“ შემდგომ პერიპეტიებს.

ერთი შეხედვით, თითქოსდა სიბრალულის ღიმილის მომგვრელია ავაზაკ კაცუნას ასეთნაირად გახელება. ალბათ, მართლაც ასე ეჩვენებათ, რატომღაც გულდაარხეინებულ და მისთვის უმკაცრესი პასუხის ვერ მომთხოვნ უმრავლესობის წევრებს. არადა, გაუმართლებლად დამშვიდებულები, სასწრაფოდ უნდა გამოფხიზლდნენ და ამოქმედდნენ, რადგან გიგია უგულავას მარადიულ ლეღვის ფოთოლს; ისეთი ფეხის დადება და სარმის გამოკვრა ძალუძს, რომ ადვილი შესაძლებელია, სახიფათო, თითქმის გამოუსწორებელ საქმეს გადაჰკიდოს, სანანებელი გაუხადოს თავიანთი გულხელდაკრეფილობით დაარხეინებულ მოწინააღმდეგეებს.

ამისი ქმნა კი ნამდვილად არ გაუჭირდება, რადგან მიხეილ საკაშვილმა, მისთვის მეტი სითამამისა და გამბედაობის შესაძენად, ცნობილი ავანტიურისტი და კორუმპირებული მექრთამე, ყველაფერზე წამსვლელი და ყველაფრის მკადრებელი, მარადჟამ პირდაღებული ზონდერი ნიკანორ მელია მიუჩინა. ერთ დროს, მიშიკასგან მთაწმინდის რაიონის გამგებლად დასმულ ამ ნაცკაცუნას, ჩანს, დღემდე ვერ მოუნელებია, მცირე ხნით „ნაჩალნიკობისას“ მოპარულის ჩაჩხრიალების ტკბილი და საამო შესაძლებლობის დაკარგვა. ამიტომაც, ასე არნახულად გაავებული ფართხალებს ხელიდან გავარდნილის დასაბრუნებლად. უფრო მეტიც: ამბობენ, უჯიშო ატამანმა, „კვლავ მობრუნების“ მერე, უერთგულეს მონა-ყმას, თბილისის მერობა შეჰპირდაო!..

ჰოდა, ალბათ, ამის გამოა ასე თავაწყვეტილი, გამგებელყოფილი.

თავის მხრივ, „მერობაგანაღდებული“ ნიკა, ალბათ, მოადგილეობას ჰპირდება ფქვილში ჩავარდნილ თაგუნა აბესაძეს. ნიკანორსაც ხომ უეჭველად დასჭირდება მრუდე-შავბნელი საქმეების საი-

მედოდ მიჩუმათება და გაქრობა. მით უფრო, სულ ახლახანს, ოდესელმა შეფმა ხომ არჩევნების შემდეგ, „უეჭველი“ დაბრუნება ამცნოთ.

ამიტომაც არიან ასე უმტკიცესად ერთმანეთზე შეწებებულ-გადაჯაჭვულები, წუთებს ითვლიან სანუკვარი დღის „გათენებამდე“.

ჯერჯერობით კი, იმ ბრძანებების შესრულებით არიან დაკავებულები. უეჭველი „გამარჯებისა და დაბრუნების“ აუცილებლობით გახალისებულები, თავაუღებლად „იღვწიან“ დედაქალაქის რაიონებს შესეულები და ნაციონალური სახად-სიმსივნისგან თავდახსნილ ხალხს, დუუმორეულები უმტკიცებენ ცხრანწლიანი ჯოჯოხეთური ყოფის „დაბრუნების აუცილებლობას“, მას თანმოყოლილი „ტკბილი და უზრუნველი ყოფის“ უსათუოდ დადგომას; ყველგან და ყველაფერში „წესრიგისა და სამართლიანობის“ ადღგენასა და დამყარებას!..“

2016 წლის იანვარში, ქართველთმოძულემ და ქვეყნის ამაოხრებელმა ნაცებმა ტრადიციული ხმაურიანი აქციები გამართეს, მერიისგან, ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „ოლიმპის“ კუთვნილი მოედნის „მოულოდნელი გასხვისების“ გამო.

ყალბისმქმნელებს ოპერატიულად გამოეხმაურა ბატონი დავით ნარმანია და საზოგადოებას ტელევიზიით წარუდგინა ყოფილი მერის სათამაშო რობოტ აბესაძის ხელმოწერილ-ბეჭედდასმული ბრძანება, დასახლებული მოედნის კერძო პირზე გასხვისების შესახებ. საფიქრებელია, რომ ამ ფარული ქმედებით, ფქვილში ჩავარდნილმა თაგუნა-აბესაძემ, კარგა გვარიანი ოდენობის ფული მიუმატა მანამდე მოპარულსა და ჩაჯიბულს.

საფეხბურთო მოედნის უცნობმა მეპატრონემ კი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დაიწყო, რასაც ნაციონალების საპროტესტო აქცია მოჰყვა, რომლის მოთავე და წარმმართველი ნიკა მელია გახლდათ. გარიგების გამჩარხველი, ფქვილიდან ამომძვრალი მისი ძმაკაცი კი, ალბათ, სადმე ღრმა სოროში იყო შეყუჟული და არაკაცურად თვალს მიფარებული.

წლეულს, 20 აპრილს, საკრებულოს სხდომაზე აწრიპინებულმა აბესაძემ მორიგი „დარტყმა აგემა“ მოწინააღმდეგეებს: **„კომუნალური ვაუჩერი, რომელიც ჩვენ დროს იყო შემოღებული, დენის ტარიფის ზრდის მიუხედავად, აბსოლუტურად გაუქმებულია. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ოქტომბერი აინტერესებს „ქართულ ოცნებას“. არჩევნების შემდეგ კი თუნდაც ქვა ქვაზე არ დარჩენილა. ჩვენ ვხედავთ, რომ 26 მლნ ლარი იხარჯება კონცერტებზე. ანუ, ის ფული, რომელიც სოციალურად დაუცველებს უნდა მოხმარებოდათ“** („ახალი თაობა“, 2010 წ. №94).

ტყუილუბრალოდ კი წუხს და ცრემლებად ამაოდ იღვრება, დარდობს და ბოღმა ახრჩობს ნაცკაცუნას. უდროოდ „ამნეზიამორეულს“ შესაძლოა მართლა აღარ ახსოვს, თავისი უჯიშო უსტაბაშისგან ყავლგასულ-ჩაობებული უცხოელი მომღერალ-მოცეკვავეებისა თუ მუსიკოსების, ბიუჯეტის ხარჯზე გამართული ძვირადღირებული კონცერტები. საბრალო არსებას ისიც „დავიწყებია“, ავადმყოფი ამორალური სააკაშვილი, ძვირფასი საჩუქრებით გულს რომ უხარებდა აქაურ და უცხოელ კახპებსა და არატრადიციული სექსის მიმდევრებს.

ასეა, მაშინ, სამარესავით უნდა დადუმებულიყო და ენაჩაგდებულს, არ ეწუწუნა. დღეს კი პირიქით, ბელადის დავალებით, ძალის გამოცლამდე უნდა იკნავლოს. რადგან იცის, რომ მისგან ნამოქმედარ-გაკეთებული, ექს-პრეზიდენტისთვის წვრილმანებამდეა ცნობილი და საჭიროების შემთხვევაში, წამოაყრანტალებს და უმძიმეს განაჩენს გამოუტანს ამაზრზენ მონას. მერე კი, ვინ იცის, რა შედეგი მოჰყვება ამას, ატამანის ხელში სამარცხვინო ტიკინად გადაქცეულ ნაცკაცუნა აბესაძისთვის.

სადღეისოდ კი, ერთობ საზიფათოდ არის ატეხილი ფქვილში ჩავარდნილი თაგუნა, საკრებულოს ნაციონალური ფრაქციის „ნაჩალნიკი“. ანგარიშმიუცემელი და „მუხრუჭმოშლილი“ უახლოვდება სავალალო დასასრულს, სულ მალე რომ დაუდგება ყვიციან-გაცრეცილ ნაცკაცუნას.

იცის ეს და გვარიანადაც გრძნობს ყველაფერს, მაგრამ სხვა გზა-გამოსავალი არა აქვს. ასე ვთქვათ, ღრმად არის შეტოპილი ნაციონალურ სიბინძურეში.

ხომ ცნობილი და ჩვეულებრივი ჭეშმარიტებაა ის, რომ ირაკლი აბესაძისნაირი თითქოს და უღიმღამო, ლაჩარი და შეუმჩნეველუფერული არსებანი, სინამდვილეში, საკმაოდ მოულოდნელ-გაუთვალისწინებელნი, გაცილებით მავნენი და საშიშნი, დიდი ზიანისა და ზარალის მიმყენებლები ბრძანდებიან.

ამიტომაც არის საჭირო და აუცილებელ-დროული, გადეპუტატებული ნაცკაცუნას სასწრაფოდ გაუვნებელყოფა, მტკიცედ და ღონივრად ალაგმვა.

გელა ჯიღაური

P. S. 2016 წლის 16 მაისს, განსაცდელმოახლოებული ნაციონალები ლელვთახევში შეიკრიბნენ. სააკაშვილის იაფფასიან-პრიმიტიულმა სათამაშომ, ანუ „კუკლამ“ დავით ბაქრაძემ, იქ მყოფთ, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის გამზადებული ახალი კანდიდატები დაუსახელა. ტუჩჩამოვარდნილმა კარიკატურა-ნაცკაცუნამ ჩამოთვლილებს შორის ირაკლი აბესაძეც დაასახელა.

ალბათ, ღამეები აღარ სძინავს ფქვილში ჩავარდნილ თაგვს. სულმოუთქმელი და აფორიაქებული ელოდება 8 ოქტომბრის დადგომას და იქ „გამარჯვების“ მერე პარლამენტის დეპუტატის სკამზე წამოსკუპებას. მანამდე კი, კრწანისის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად გამოცხადებულს ბევრი რამე აქვს მოსაგვარებელი. გიგია მერის სკოლაგამოვლილ-გაწვრთნილმა, აუარებელი ნაციონალური ტყუილით, არაკზღაპრებითა და დაპირებით, თვალებში ნაცრის მოუღალავად შეყრით, უსიკვდილოდ უნდა მოხიბლოს იქ მცხოვრებნი და მარჯვედ გამოსცინცლოს დეპუტატობისთვის საჭირო ხმები.

ბედშავს, ალბათ, მართლა სჯერა და ეიმედება უეჭველი „წარმატება და გამარჯვება“. არც გაემტყუნება, რადგან მისთვის ამ სურვილის შემსრულებლად, განგებამ „უზადო კარატისტკა-ფუნკუისტკა, აბჯართმტვირთველი „ყოვლისშემძლე პირველ ლედყოფილი“ რულოვსი მოუვლინა.

ალბათ, ამ დიაცისგან იგივე მოვალეობის შესრულების იმედად არის შთენილი, აჭარის „მხსნელად“ ოდესიდან შემოპარული, აჭარლებისგან „ბეყედ“ სახელშერქმეული, უქნარა და სნეული ვარშალომიძეც...

მაგრამ, ამაოა ამ ნაცკაცუნებისგან „ბედნიერი დღის დადგომის“ მოლოდინით ოცნება და ტკბობა. რადგან სწორედ მაშინ — 2016 წლის 8 ოქტომბერს, სამარადისოდ დასამარდება საქართველოსა და ქართველებზე სატანისგან იძულებით თავმოხვეული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“!

ყველაფერს ხომ აქვს დასასრული?

გ. ჯ.

◎ ზღვა, დამსვენებელი, ჩვენ

აჭარისა და გურიის სანაპიროზე ისევ ანტისანიტარია!

წლების განმავლობაში აჭარის სანაპიროზე არსებული ანტისანიტარიის პრობლემა წელსაც მოუგვარებელია. აჭარის ხელისუფლებამ ვერცერთ წელს ვერ მოახერხა ტურისტულ სეზონს მომზადებული შეხვედროდა და ვიზიტიორები ნაგავს არ შეეწუხებინა.

ჩვენი გაზეთი ამ პრობლემაზე წლებია წერს, თუმცა, წლიდან წლამდე ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკა არ იცვლება, სანაპიროებზე ნაგვის პრობლემა კი მოუგვარებელი რჩება.

გასული წლების მსგავსად ტურისტები ამჯერად „კომერსანტთან“ წელსაც აცხადებენ, რომ სანაპიროები საყოფაცხოვრებო ნარჩენებით არის დაბინძურებული და იშვიათად სუფთავდება.

„კომერსანტთან“ საუბარში ერთ-ერთი დამსვენებელი, რომელიც წელს გრიგოლეთსა და ქობულეთში იმყოფებოდა, აცხადებს, რომ მთელი სანაპირო ზოლი ისეთი საყოფაცხოვრებო ნარჩენებითაა დაბინძურებული, როგორიცაა პლასტიკატის ბოთლები, ხილისა და სიგარეტის, მზესუმზირის, სიმინდის ნარჩენები და ა.შ.

„რადგან არ სუფთავდებოდა სანაპირო, გადავწყვიტეთ გრიგოლეთში თავადვე მოგვეგროვებინა ნაგავი და ერთ ადგილზე თავი მოგვეყარა მისთვის. იმედი გვქონდა, რომ ასეთ შემთხვევაში მაინც გაიტანდნენ ნაგავს, მაგრამ მეორე დღეს ისევ იმავე ადგილზე დაგვხვდა ერთად მოგროვებული ნაგავი. ბოლოს მისი გატანა ისევ ჩვენ მოგვიწია“, — აცხადებს დამსვენებელი.

ამავე პრობლემაზე მიუთითებს კიდევ ერთი ტურისტი, რომელმაც შვებულება ბათუმში გაატარა. მისი განცხადებით, ტერიტორია განსაკუთრებით დაბინძურებულია საღამოს და ყველგან სიგარეტის ნარჩენები ყრია. ტურისტი წელს ზღვის სიბინძურემაც შეაწუხა.

დამსვენებლები აცხადებენ, რომ ანტისანიტარიის გამო ხშირია ენტეროვირუსებითა და სხვადასხვა ინფექციით ბავშვების დაავადების შემთხვევებიც. თუმცა, ოფიციალური პირები როგორც რეგიონულ, ისე ცენტრალურ დონეზე ამტკიცებენ, რომ კურორტებზე არც ანტისანიტარიის და არც ვირუსების პრობლემა არ დგას.

„კომერსანტი“ შეეცადა, ამ პრობლემებთან დაკავშირებით ყველა მხარეს დაკავშირებოდა და კონკრეტული პასუხები მიეღო.რატომ ვერ უზრუნველყოფს ხელისუფლება სისუფთავეს ტურისტული სეზონის პიკში?

ტურისტების პრეტენზიების პასუხად კი ხელისუფლების წარმომადგენლები მოქალაქეების თვითშეგნებისა და სოციალური პასუხისმგებლობის დაბალ დონეზე მიუთითებენ. თანამდებობის პირები აცხადებენ, რომ დამსვენებლები ნაგავს ურნებში არ ყრიან და სანაპიროს თავადვე აბინძურებენ.

ქობულეთის გამგებელი სულხან ევგენიძე აცხადებს, რომ წელს სანაპირო ზოლში ნაგვის პრობლემა წინა წელთან შედარებით გამოსწორებულია.

„სანაპირო ზოლზე ნაგვის პრობლემები გამოსწორებულია. შეფერხება გვქონდა ურნების დაცვლასთან დაკავშირებით, რადგანაც ნაგვის მანქანები არგ ვყოფნიდა. სამწუხაროდ, ხშირად ფიქსირდება ფაქტები, როდესაც ურნის გარეთ ყრის მოსახლეობა ნაგავს. ამასთან, მაღაზიები და დისტრიბუციის მანქანები ცარიელ ყუთებს ყრიან სანაგვეებში, რაც ძალიან სწრაფად ავსებს ნაგვის ურნებს. კანონი მათ ავალდებულებს, დააქუცმაცონ ეს ყუთები და ისე გადაყარონ. სწორედ ამ მიზეზის გამო ამ წელს უკვე 15 მაღაზია დაჯარიმდა. ნაგვის ურნის 90% სწორედ ასეთი ნარჩენებით არის სავსე“, — აცხადებს ქობულეთის გამგებელი.

რაც შეეხება სანაპირო ზოლის დასუფთავებას, გამგებელი აცხადებს, რომ დღის განმავლობაში სანაპიროს დასუთავება ორჯერ ხდება — დილით 5-6 საათზე და შუადღეზე 14-15 საათზე.

„იყო პრობლემები, როდესაც 8-9 ივლისის მერე 2 კვირა ვერ დავალაგეთ სანაპირო, რადგან სტიქიები იყო ქედაში, შუახევში, რომელთა გამოც მთელი ნაგავი სანაპიროზე გამოირიყა. არ გვყოფნიდა მუშახელი და ვერ ვასწრებდით“, — აცხადებს გამგებელი და აღნიშნავს, რომ რა თქმა უნდა, სანაპიროზე იდეალური სიტუაცია არ არის, მაგრამ თუ ადამიანების მიდგომა არ შეიცვალა, არც ეს სიტუაცია შეიცვლება.

რაც შეეხება აჭარის ტურისტულ ცენტრს, ბათუმს, როგორც „კომერსანტთან“ ბათუმის „სანდასუფთავების“ ხელმძღვანელი **დავით ასამბაძე** ამბობს, სანაპირო ბათუმშიც ორჯერ იწმინდება, თუმცა, დასუფთავებიდან ზუსტად ერთ საათში სანაპიროს ტურისტები ისე ანაგვიანებენ, თითქოს, არც არასოდეს გაწმენდილა პლაჟი.

„ჩამოსული ტურისტი ამას არ აკეთებს. ისევ ჩვენი, ქართველები აბინძურებენ გარემოს. ჯგუფების დამატება მეორე უკიდურესობას გამოიწვევს. წარმოიდგინეთ ბანაობთ, პლაჟზე წევხართ და მეეზოვე თავზე გადგათ. ამაზე კიდევ ცალკე პრეტენზიებია ტურისტების მხრიდან“, — აცხადებს დავით ასამბაძე.

* * *

აჭარის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს გარემოს ინტეგრირებული მართვის განყოფილების უფროსი **ნუგზარ პაპუნიძე** აღიარებს, რომ არსებობს კონკრეტული უბნები, სადაც კანალიზაციის არარსებობის გამო გაუწმენდავი, ფეკალური წყალი ზღვაში ჩაედინება.

„არის დღესდღეობით ფაქტები, რომ არაკანალიზებული უბნებიდან გაუწმენდავი წყლები ჩადის ზღვაში. ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ სწორედ ახლა მიდის კანალიზაციის გაყვანის სამუშაოები ბათუმში. ბათუმის ტერიტორიაზე 20 ასეთი კერა იყო, ახლა ძალიან შემცირებულია ეს მაჩვენებელი“, — აცხადებს ნუგზარ პაპუნიძე. — **მიუხედავად ამისა, ყველაზე დაბინძურებულ ადგილზეც კი ზღვის წყალი საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებში და სტანდარტებში ჯდება.**

მიუხედავად დამსვენებლების პრეტენზიებისა, რომ იმატა ინფექციური დაავადებების და ენტეროვირუსების რაოდენობამ, დაავადებათა კონტროლის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **პაატა იმნაძე** „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ასეთი დაავადებების მატება ზაფხულის სეზონზე ბუნებრივია.

მისი თქმით, მსგავსი შემთხვევები ზაფხულობით იმატებს და ასე იყო 50 წლის წინაც, 2 წლის წინაც და ასე იქნება მომავალ წელსაც. მისი შეფასებით, პრევენციის ერთადერთი საშუალება ჰიგიენური ნორმების დაცვა — ხელის ხშირად დაბანა და გაურეცხავი ხილის მიღებისგან თავის შეკავებაა.

როგორც ჩანს, ხელისუფლების წარმომადგენლები არ აღიარებენ პრობლემებს, რომლებიც საკუთარი მოქალაქეებისა და ტურისტების წინაშე დგას. შესაბამისად, არც მათს გამოსწორებაზე აპირებენ საკუთარი რესურსის დახარჯვას. ნათელია მეორე ფაქტიც, რომ დაბინძურებული სანაპიროები ქვეყნის იმიჯზე უარყოფითად აისახება და ქვეყანა ნელ-ნელა შემოსავლის იმ მნიშვნელოვან წყაროს დაკარგავს, რომელიც ტურიზმიდან შემოდის. იმ ფონზე, როდესაც მილიონები იხარჯება მსოფლიოში საქართველოს რეკლამირებისთვის, იმისთვის, რომ ქვეყანა ტურისტულად მიმზიდველ ადგილად ჩამოყალიბდეს, ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე მყოფი ხელისუფლების წარმომადგენლების დამოკიდებულება დახარჯულ დროსა და რესურსებს არაეფექტიანს ხდის.

გური წულუკიძე,
ბათუმი-გრიგოლეთი-თბილისი

გურამ პეტრიაშვილი

ქამი არ იცდის...

წვიმა!

შენს წკაპა-წკუპს რომ დიდხანს ვუსმინე,
ამის მოწმედ მყავს ღია სარკმელი,
არ შეგიძლია, უფრო მკაფიოდ
და გასაგებად მითხრა სათქმელი?!.

შენ და სამყარო

ტანია ჯანტურიას ხსოვნას

დილის მზის სხივი, არეკლილი მარცვალზე ყურძნის
ან მწუხრის ბინდში ძროხის უცებ შემოფეთება,
მეჩხერკბილება ბიჭი ტაროს ხარბად რომ ღმურძნის
ან კნაჭა გოგო, კოცონად რომ შემოგენთება.

ა, საოცრება... უთვალავი სხვაც ამგვარივე,
რომ გვაკავშირებს სამყაროსთან მტკიცე ძაფებით,
ეს ყველაფერი თუნდაც ოდნავ არივ-დარივე,
გულის წასვლამდე მტკივნეულად დავიძაბებით.

მიდი, იცხოვრე, სიბერისთვის გადადე ფიქრი,
გადადე რაღაც ანგარიში და შეჯამება,
იმის გარკვევა, ფიქრში ფრინავ, თუ ცხადად მიჰქრი,
საფუძვლიანად თუ დავფიქრდით, არის წამება.

მიდი, იცხოვრე. ამ წამს, მუდამ, მჭიდროდ, ნამდვილად,
ჟამი არ იცდის, გაუბედე, წაავლე ხელი.
და თქვი გადაჭრით და გულღიად, ანუ ადვილად,
სამყარო კვლავაც, ვით ოდესღაც, რომ არის ცხელი.

დედა

ერთად მოგყავდა ორი შვილი და ორი ცუგა,
ეფერებოდნენ ლამაზ ძაღლებს კოხტა ბავშვები,
და გეტყობოდა, რომ იყავი მზრუნველი დედა
არ იყავ მათი ნაბიჯითაც გვერდზე გამშვები.

თან ასწავლიდი, თუ ვის უნდა აჩუქონ ხურდა,
ვის დაეხმარონ, გადავიდეს ქუჩაზე ფრთხილად,
ვის, დაღონებულს, დაუქნიონ ღიმილით ხელი,
რომ მოღრუბლული მწუხრის ბინდი ეჩვენოს დილად.

სიკეთე, დედავ! სულ მშვიდობა იყოს შენს ჭერქვეშ,
ჯანმრთელობა და პატარების ბედნიერება,
ვინც შენა განახა, იმან იცის, რომ ჩვენს ყოფაშიც,
აქვე, ჩვენ გვერდით, არის სრული მშვენიერება.

ქართველ ქალიშვილს

დახრი წამწამებს და ტუჩებზე გითრთის ღიმილი,
იერზე გატყობ, უფრთხი თამამ ქათინაურებს,
შენც ლამაზი ხარ, მაგრამ კარგო, სხვა ლამაზებში
ეგ შენი რიდი, შენი კდემა გაწინაურებს.

შენ დედფლების მემკვიდრე ხარ, ცხოვრობ ჩვენ გვერდით,
ვინც ამას ხვდება, მადლობა ღმერთს, არიან ბევრნი,
მაგრამ ვიდრემდის ყველა იგრძნობს შენს სიდიადეს,
შენს ლამაზ თავზეც ტრიალებენ ცხოვრების კევრნი.

ჯერ კი, ჯერ კვლავაც გაუძელი ღლაბუცს და ღადავს,
ჭუჭყსა და ნაგავს... და უმზირე მშვიდად ოცნებას,
გწამდეს, ძვირფასო, რომ ცხოვრების ყოველი წამი
მიგაახლოებს შენი კდემის გასხივოსნებას.

* * *

სიო არ იძვრის და ყველა ფოთოლს
როგორც ხელს მიქნევს ალვის ხე დიდი,
ისიც ჩემსავით არის ბებერი,
ჩემსავით ჩუმი და ჩემებრ მშვიდი.

თუმც ერთნაირად ვართ ჩვენ ბრძენები
და ერთნაირად მიამიტები,
მაინც ისა მჯობს, რადგან ხანდახან
ისევ სხდებიან მასზე ჩიტები.

* * *

ლაღი ვარ, ლაღი ჯიშისა,
ლაღი მშობლების შობილი,
ლაღი მყავს ნათესავები
და ლაღი დობილ-ძმობილი.

და საერთოდაც ლაღნი ვართ
ვისაც ქართველად გვიხმობენ.
ლაღადაც ავციმციმდებით,
როცა ვარსკვლავნი გვიძმობენ.

* * *

დრო მოვა, წავლენ ჩვენი მამები,
მერე კი ჩვენი დედებიც წავლენ,
საწუთროს ტვირთით დამძიმებულნი
სიკვდილ-სიცოცხლის დიდ ბჭეში გავლენ,
აუყვებიან ქათქათა კიბეს
და ვინც მიგველის, მასთანაც ავლენ...

მაკას წინდები

მაკა ჯოხაძეს

ჩვენი მაკუნა, მაკუკუნა, ეს საყვარელი
ფერად ფერადებს გვიქსოვს ყველას ზამთრისთვის წინდებს
და იმ წინდებით გვიხალისებს დამაშვრალ ბიჭებს
წუთისოფლისას ულმობელად მოღუშულ ბინდებს.

დავდივართ ასე, ყველა ჩვენგანს შარვლის ტოტები
ფერად წინდებში ისე კოხტად გვაქვს ჩატნეული,
თითქოს ლამაზად გადარეულ ცელქ გაზაფხულში
თითქმის მუხლამდე ჩვენი ნებით ვართ ჩათრეული.

მიდი, დაიკო! არ შეწყვიტო ეგ დიდი საქმე,
ყველას გვსურს, გვქონდეს ეგ ლამაზი შენი წინდები
და ამ ჩვენს საძმოს, თმაჭაღარას, დაღმართში წასულს
ვეღარ შეაკრთობს წუთისოფლის თალხი ბინდები.

ღია წერილი ქართველ ფოლკლორისტებს

დიდ ბოდიშს გიხდით, რომ ვამბობ ამას,
მაგრამ თუ მისმენთ ფოლკლორის ხალხი,
ვიცი, რომ ხალხში წიქარას ამბავს
ამშვენებს ბოლოს ამბავი თალხი:

როდესაც მოკვდა ხარი წიქარა,
მის გვამში შეძვრა პატარა ბიჭი
და თვითმკლელობა ამგვარი ნიშნავს,
რომ სიყვარულის ჰქონდა მას ნიჭი.

თქვენ კი ამ ფინალს, რომ ართმევთ ზღაპარს,
რად შვრებით ამას? რას ამბობთ ამით?
რომ შეიძლება ბავშვი შეშინდეს,
ცუდი სიზმარი ესიზმროს ღამით?

მე კი მგონია, ეს თვითმკვლელობა
ბავშვის სულს შესძრავს სულ სხვა განცდებით,
იგრძნობს პატარა, რომ ქვეყანაზე
მხოლოდ სალხენად არ ვიბადებით.

და რომ ძვირფასი თვით სიცოცხლეზეც,
არის, ვისთვისაც ძგერს შენი გული,
რომ უიმისოდ აღარ გსურს იყო
არც ბედნიერი, არც მხიარული.

შეიგრძნობს ამას და გულში სევდის
გაიშლებიან ნაზნი იანი,
თვალთ მოადგება ნათელი ცრემლი
და მით გახდება ადამიანი.

ახლა კი შიშზეც ვთქვათ ორი სიტყვა:
თქვენ გინდათ, რომ ბავშვს შიში აცილოთ?
გინდათ, არასდროს რომ არ შეძრწუნდეს?
გინდათ, რომ მუდამ მხოლოდ აცინოთ?

ნუ მოვინდომებთ, როგორც ამბობენ,
რეალობისგან წასვლა-გაქცევას,
თუკი არასდროს არ იგრძნო შიში,
როგორ ისწავლის შიშის დაძლევას?

ფოკლორის ხალხო, კარს მოგდგომივართ
ჩემი ბავშვობის ნიშა ხარებით,
გთხოვთ დაუბრუნოთ ზღაპარს ფინალი,
გეხვეწებით და გემუდარებით.

დე, მოკვდნენ ერთად, შეძრწუნდეს გული,
ვინაც ეს ძრწოლა გულს მიიკარა,
მასთან ივლიან მთელი სიცოცხლე
ბიჭი და მისი ხარი წიქარა.

ⓘ ისტორიის ნამცვრევები

დიდი ინკვიზიტორი თომას ტორკვემადა – ერეტიკოსთა ურო

ინკვიზიცია — კათოლიკური ეკლესიის ტრიბუნალი, XVII საუკუნეში შეიქმნა ერესთან საბრძოლველად. ინკვიზიციური ტრიბუნალი რთული დაწესებულება იყო, რომელიც საგამომძიებლო და სასამართლო ხელისუფლებას აერთიანებდა.

საინკვიზიციო სასამართლოსგან თავის დახსნა ძნელი საქმე გახლდათ. საბოლოო განაჩენის გამოტანამდე თეორიულად შეიძლებოდა რომის პაპთან ჩივილი. თუმცა, ინკვიზიტორზე იყო დამოკიდებული, მიიღებდა თუ არა პაპისთვის გასაგზავნ წერილს (ასახელებენ რამდენიმე შემთხვევას, როცა ოქროსმოყვარული პაპი საქმეში ჩაერია).

ინკვიზიციისგან თავის დაღწევა იმდენად რთული საქმე იყო, რომ ფრანცისკანელი ბერის ბერნარ დელსიეს სიტყვებით, წმინდა პეტრე და წმინდა პავლე ერეტიკოსობაში დადანაშაულების და საქმის აღძვრის შემთხვევაში ვერანაირად გაიმართლებდნენ თავს.

ინკვიზიცია სრულიად დამოუკიდებელი იყო საერო ხელისუფლებისგან. ის განსაკუთრებით მძვინვარებდა ესპანეთში და გამოიყენებოდა როგორც კონტრრეფორმაციის იარაღი.

ესპანური ინკვიზიცია... მისმა სისხლიანმა ნაკვალევმა დაჩრდილა სხვა ქვეყნების ინკვიზიტორთა ბოროტმოქმედებანი. მის პირქუშ მოღვაწეობაზე ასობით წიგნია დაწერილი, ესპანეთში ინკვიზიციამ მიაღწია განვითარების უმაღლეს ხარისხს, იქცა ასეთ დაწესებულებათა მაგალითად მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

მართლაც, არსად ინკვიზიციას არ უმოქმედია ისე სასტიკად და ყოვლისმომცველად, არსად თავის თავში ისეთი „სრულყოფილებით“ არ მოუცავს საეკლესიო და პოლიტიკური პოლიციის ნიშნები, როგორც ესპანეთში — კათოლიკე მონარქების მმართველობით.

ესპანური ინკვიზიციის ჭეშმარიტ მამამძუძედ და იდეოლოგად ითვლება თომას ტორკვემადა, ესპანეთის პირველი დიდი ინკვიზიტორი, ფანატიკოსი, რომელიც თავისი ცხოვრების ძირითად დანიშნულებას მარანების (ქრისტიანად მონათლული ებრაელების) ამოჟლეტაში ხედავდა.

ამ თანამდებობაზე ტორკვემადამ ესპანეთის ინკვიზიციის რეორგანიზება მოახდინა, რომელიც 1478 წელს სევილიაში იყო ბაზირებული. იქ არსებული ერთი ტრიბუნალი ფართოდ განტოტილ ქსელად გარდაიქმნა ორ ათეულზე მეტი სასამართლოთი. პირენეის ნახევარკუნძულზე ერესის ამოძირკვაში მონდომებისა და ფანატიზმის წყალობით ტორკვემადას რამდენიმე მჟღერადი თიკუნი შეემატა: ერეტიკოსთა ურო, ესპანეთის ნათელი, ქვეყნის მხსნელი, ორდენის ღირსება.

პირველი აუტოდაფე (რწმენის აქტი) 1481 წ. 6 თებერვალს შედგა: სევილიაში კოცონზე დაწვეს 6 ქრისტიანად მონათლული ებრაელი, რომლებიც „იუდიზმს მხოლოდ ქაღალდზე გაემიჯნენ, სინამდვილეში კი მალულად იუდეურ წეს-ჩვეულებებს ასრულებდნენ.

ინკვიზიციის მსხვერპლნი ხშირად ხდებოდნენ მდიდარი ებრაელები და მავრები (ესპანეთში მცხოვრები არაბები), რომელთაც ქონება ერთმეოდათ მეფის ხაზინის სასარგებლოდ.

ინკვიზიტორები თვითონ მოიძევდნენ დანაშაულის მტკიცებულებებს და თვითონვე სდებდნენ ბრალს ერეტიკოსებს. ბრალმდებელთა (დამსმენთა) სახელები საიდუმლოდ რჩებოდა. საკმარისი იყო უმნიშვნელო რამეც კი, ხშირად ერთი გაუფრთხილებელი სიტყვაც კი ინკვიზიციის წინააღმდეგ.

იხ. 11 გვ.

უცნობი გენერალისიმუსი...

როგორ ატარებდა სტალინი დასვენების დღეებს

ვთქვათ, „ფრიადზე“ ვერ ჩავაბარებდით დავალებას, სტალინი მიუბრუნდებოდა კიროვს — „ძვირფასო ამხანაგო კიროვ, როგორ ფიქრობთ, დავსაჯოთ დღეს ესენი?“ და კიროვი უპასუხებდა: „დიდო ბელადო, მოდი ამჯერად ნუ დავსჯით, ვაპატიოთ“. „ესე იგი, მიგაჩნიათ, რომ ამჯერად უნდა ვაპატიოთ? რახან ასეა, ასედაც მოვიქცევით, დღეს ამათ არ დავსჯით“... სტალინი და კიროვი უახლოესი მეგობრები იყვნენ. ნადეჟდა სერგეევნას გარდაცვალების შემდეგ ყველაზე ახლო მასთან კიროვი იყო. მართალია, თავის სიმამრს — სერგეი იაკოვლევიჩს სტალინი ძალიან მეგობრულად ექცეოდა, მაგრამ იმ ადამიანს გარკვეულწილად როგორიღაც თავისი ცხოვრება ჰქონდა.

მარცხნიდან: სვეტლანა სტალინა, იოსებ სტალინი, ოლგა კლიმოვიჩი (ბუდიონის მეუღლე), სიმონ ბუდიონი, ვასილი სტალინი და არტემ სერგეევი. სოჭი. 1934 წ.

რა თქმა უნდა, სახელმძღვანელოზე სოჭში მარტო სტალინი არ მუშაობდა, თუმცა, როგორც ყველგან და ყოველთვის სხვებზე მეტს შრომობდა. იქ იყო ტელეგრაფი და ყოველდღე დიდძალ ფოსტას ღებულობდა. გარდა ამისა, ყოველდღე მოდიოდა სამხედრო სამთავრობო თვითმფრინავი P=5 ისეთი მსუბუქი თვითმფრინავებისათვის, როგორიც P=5 და Y=2 (ეს უკანასკნელი შექმნილია პოლიკარპოვის მიერ ოციან წლებში), სოჭის ტერიტორიაზე საგანგებო აეროდრომი იყო. მოიტანდნენ უამრავ მასალას და წაიღებდნენ უკან დამუშავებულს. სტალინს არ უყვარდა ქაღალდების დაგროვება, დოკუმენტებს ის ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა. ამბობენ, დოკუმენტის ზედმეტ ეგზემპლარს არასოდეს გაატანდათ, როგორც წესი, გაგზავნისთვის საჭირო თანხის ანგარიშებსაც თვითონ აწარმოებდა. ამიტომ იყო ასე ძნელი მოწინააღმდეგებისათვის სტალინის გეგმებისა და გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მიღება. თუ ასეა, როგორ იგებდნენ, და, იპარავდნენ, ჩუმად კითხულობდნენ დოკუმენტებს, მიუხედავად იმისა, რომ სტალინი ძალიან ზრუნავდა მათ სათანადო შენახვასა და დაცვაზე.

* * *

აგარაკზე სტალინს ყოველთვის ღია ფერის „კულომენკური“ ტილოს კოსტიუმი ეცვა. ეცვა ყოველთვის ფეხზე კარგად მორგებული შევროს რბილი ჩექმები. და საერთოდაც, უნდა ითქვას, ყველაფერი, რასაც სტალინი ატარებდა, იქნებოდა ეს სამოსი თუ ფეხსაცმელი, იყო მოხდენილი და ლამაზი. იქიდან ზოგიერთი რაღაცის გაცვეთა მე მომიწია. ომი რომ დაიწყო, ფეხზე დეკეულის ტყავის ჩექმები მეცვა, ომში სწორედ იმ ჩექმებით წავედი. ის ჩექმები იქ ყველაზე მოხერხებული და მარჯვე სატარებელი იყო. სტალინისეული ჩექმები კი წასვლის წინ იმ ფაბრიკის დამლაგებელს მივეცი, რომლის დირექტორიც დედა იყო. ვიფიქრე, ფრონტზე ესენი არ დამჭირდება, აქ კი ამ რთულ დროში ვიღაცას აუცილებლად გამოადგება-მეთქი.

ფეხსაცმელს სტალინი სად აკერინებდა ან სად ყიდულობდა, არ ვიცი. კოსტიუმებს კი აბრამი ისაევიჩ ლეგნერი უკერავდა. ლეგნერი დიდად პატივსაცემი ადამიანი გახლდათ. მართალია, თერძი იყო, მაგრამ ჰქონდა პოლკოვნიკის წოდება, იმ სამკერვალოს უფროსად კი ამ საქმის დიდმა ცოდნამ და ოსტატობამ მიიყვანა.

სხვათა შორის, სტალინს ერთი ასეთი ჩვეულება ჰქონდა. იყო საკითხები, რაშიც თავს კომპეტენტურად თვლიდა და გადაწყვეტილებებს თვითონ იღებდა. საიდან იცოდა სტალინმა ყველაფერი, საიდან შეეძლო ყველაფრის სხვებზე უკეთესად კეთება? საიდან და თავისი თანაშემწეების დახმარებით, თავისი უტყუარი ალღოთი პოულობდა უკეთესთა შორის ყველაზე უკეთეს სპეციალისტებსა და ოსტატებს, რომლებიც მერე მისი მრჩევლები ხდებოდნენ, თუმცა, ოფიციალურად ასეთი თანამდებობა არ არსებობდა.

მაგალითად, სამკერვალო საქმეებში კონსულტაციას აბრამ ისაევიჩ ლეგნერი უწევდა. არქიტექტურის საკითხებში — შესანიშნავი არქიტექტორი ჟელტოვსკი. სამხედრო საქმეში მისთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ბორის მიხაილოვიჩ შაპოშნიკოვი იყო. ის მერე მარშალი გახდა. ადამიანებს სტალინი ჩვეულებრივ გვარით მიმართავდა, ხოლო თუ ძალიან აფასებდა და პატივს სცემდა — სახელით და მამის სახელით. შაპოშნიკოვს ბორის მიხაილოვიჩს ეძახდა, ლეგნერს — აბრამ ისაევიჩს.

— თავის უახლოეს მეგობარს — კიროვს?

— მისთვის ის „ძვირფასი ამხანაგი კიროვი“ იყო, ხოლო კიროვი — „დიდო ბელადო“, — ასე მიმართავდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ხუმრობით... რაც შეეხება ოფიციალურ დონეზე —„ამხანაგი სტალინი“ და „ამხანაგი კიროვი“ იყვნენ ერთმანეთისათვის... კიროვმა იცოდა თავისი როლი, იცოდა, მასთან თავისი სულიერი სიახლოვე და მათ პირად ურთიერთობაში არ იყო არავითარი ოფიციალობა. მათ ყველაფრის მოყოლა შეეძლოთ ერთმანეთისათვის, შეეძლოთ წაელინმა უპასუხა: „თქვენ მუშაობთ, მე ვისვენებ. თქვენ მაგ შრომის საფასურით ძალები უნდა აღიდგინოთ...“ მუშები კი მაინც უარზე არიან. მაშინ სტალინმა იკითხა, ვინ იყო მათ შორის უფროსი? რა თქმა უნდა, თქვენო! — უპასუხეს. „ჰოდა, თუ ასეა, უფროსს უნდა დაუჯეროთ“, — თქვა იოსებ ბესარიონის-ძემ... ის, რომ დავალებული ყოფილიყო, ვისიმე რაიმე ვალი ჰქონდა, მისთვის ეს დაუშვებელი იყო, ამიტომაც ამას ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა... „უნდა გადაიხადო, ადამიანის შრომას პატივი უნდა სცე“ — ეს მისი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრინციპი გახლდათ.

ადამიანებს შრომისთვის ყოველთვის მადლობას უხდიდა... ერთხელაც აფხაზეთში ვართ, რომ უცებ-ბახ! — ვიღაცა ვიღაცას თოფის სროლით ესალმება, თოფის სროლით პასუხობს ის ვიღაცაც. მერე ერთ აფხაზს ბატკანი სთხოვეს ეს ვლასიკის ორგანიზებული იყო. სტალინი მაშინვე აძლევს ფულს იმ ბატკნისათვის, მაგრამ ბატკნის პატრონი სასტიკ უარზეა: „არა, კობა, არა, ამაში ვიდრე ცოცხალი ვარ, ფულს არასოდეს ავიღებ!“... „მე აქ დასასვენებლად ჩამოვედი. ეს, მეფე აგროვებდა ხარკს ჩამოსვლისას თავისი ქვეშევდრომებისაგან, მაგრამ მე არც მეფე ვარ და არც ბატონი. შენ შრომობ, შრომა კი ფული ღირს. მე აქ შენთან სტუმრად არ ვარ ჩამოსული, სტუმრად რომ ჩამოვალ მაშინ გამიმასპინძლდი...“

სოჭში სტალინი ყოველთვის აგვისტოში ჩადიოდა და სექტემბერ-ოქტომბრამდე რჩებოდა. ჩამოვიდოდა მოსკოვში ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის წინ და ექვსი ნოემბრის სადღესასწაულო შეკრებას დიდ თეატრში აუცილებლად დაესწრებოდა.

სტალინი და ომი

„ზავტრა“: — არტემ ფეოდოროვიჩ, სად მოგისწროთ გამარჯვების დღემ?

ა.ს: — ჩვენი ბრიგადა სამხრეთ გერმანიიდან პრაღაზე თავდასხმის ბოლო ოპერაციაში მონაწილეობდა. გერმანიის ოკუპირების შემდეგ ცხრა მაისს ღამით ჩვენი რადისტებისგან გავიგე, რომლებიც ამის დასაზუსტებლად რადისტების შტაბის კორპუსს დაუკავშირდნენ, ისინი — არტილერიის არმიის შტაბის რადისტებს, მათ კი ფრონტების რადისტებისგან გაიგეს, რომ ამის შესახებ ზუსტად მოსკოვმა გამოაცხადა, ესე იგი, ომი ბერლინში უკვე დამთავრდა, ჩვენ კი გულდაგულ მივისწრაფოდით ომისკენ, წინ, პრაღისაკენ მივიწევდით და ცხრა მაისის დილას უკვე პრაღაში ვიყავით, სადაც დიდი ზარ-ზეიმი და მხიარულება დაგვხვდა — ჩვენ ხომ ასე სწრაფად იქ არავინ გველოდა, ასე ეგონათ, პირველები იქ ამერიკელები მივიდოდნენ. ჩვენ კიდევ უფრო წინ წასვლა მოგვიწია პრაღის გავლით, ვინაიდან ფელდმარშალ შერნერის „ცენტრის“ არმიის ჯგუფი ამერიკის მხარეს გადადიოდა და უნდა დაგვეკავებინა. ამიტომ საჭირო გახდა, უკან გავდევნებოდით და გვეომა. თუმცა სამი დღის შემდეგ — თორმეტ მაისს ომი ჩვენთვისაც დამთავრდა. ამის შემდეგ წავედით უნგრეთში, თავი მთელ ბრიგადას მოვუყარეთ, რაც საჭირო იყო ყველაფერი წესრიგში მოვიყვანეთ, სისტემაში მოვიყვანეთ სამსახური და ახლა საჭირო იყო, ფიზიზლად ვყოფილიყავით, ბრძოლის უნარი არ დაგვეკარგა.

— მაგრამ სად იყო ვასილი სტალინი 1945 წლის მაისში?

— გერმანიაში საავიაციო დივიზიის უფროსი იყო.

— გრძნობდა სტალინი, რომ ის გამარჯვება იყო არა მხოლოდ ქვეყნისა და ხალხის გამარჯვება, არამედ პირადად მისიც?

— მის მაგივრად ვერ ვილაპარაკებ, რას გრძნობდა და რას განიცდიდა, მაგრამ, ვფიქრობ, ადამიანი, ვინც ამდენი წელი სახელმწიფოს ხელმძღვანელობდა, ამდენი რამ გააკეთა გამარჯვებისთვის, იმ საქმისთვის, რასაც მთელი თავის ცხოვრება შესწირა, ცხადია, არ შეიძლება, გახარებული არ ყოფილიყო. მაგრამ, აჯობებს აქ ჩერჩილის სიტყვები დავიმოწმოთ სტალინის შესახებ. როცა ამბობს, ის ერთნაირად მშვიდი იყო, როგორც უმძიმეს, ისე ზეიმის, დღესასწაულის დროსო.

ახლა ერთი წრიპინი და წივილ-კივილია იმ ღონისძიებებზე, სტალინმა რომ წამოიწყო, როგორც სახელმწიფო მეთაურმა და უმაღლესმა მთავარსარდალმა, რათა რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად მომზადებულიყო ომისათვის... გაჰყვირიან — რუსული მუზეუმების, ტრეტიაკოვის ექსპონატებს ყიდდნენო. მაინც, რისთვის აკეთებდნენ ამას? იმისთვის, რომ ამ ფულით იახტები და ფეხბურთის კლუბები ეყიდათ, ისე, როგორც ახლა ყიდიან ამისთვის ყველას და ყველაფერს? რა თქმა უნდა, არა — ფულს თავდაცვისთვის, ქვეყნის გაძლიერებისთვის ხარჯავდნენ. ან იქნებ ჯობდა, არ მომზადებულიყვნენ ამისთვის? მაშინ ვის დარჩებოდა ის ექსპონატები, ვისთვის შეინახავდნენ მათ?

(გაგრძელება იძნება)

სტალინი. პირადი ცხოვრება

ორმენ სერგეევის მოგონებები

ე. გლუშიკისა და ო. სტრელცოვას მასალების მიხედვით. გაზეთი „ზავტრა“

ქილიკებინათ ამა თუ იმ თვისებასა თუ საქციელზე. მაგრამ ამ ყველაფერს სუფთა მეგობრული ხასიათი ჰონდა.

... სოჭში სტალინი მატარებლით მიდიოდა, ხოლო იქ მოსკოვიდან ჩატანილი „როლს-როისით“ დადიოდა, რომელიც, მგონი, 1929 წელს იყო გამოშვებული. ის მანქანა მერე ისევ მოსკოვში მიჰქონდათ. სათანადო დონის საიმედო სამამულო წარმოების მანქანები იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო. სტალინი ერთი პირობა შეეცადა „Л-1“-თით ან „□□□-101“-ით ემგზავრა, მაგრამ

ვასილი სტალინი ფრონტზე. 1945 წ.

მისი ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. და აი, ომის დროს გამოშვებულ იქნა „□□□-110“ და ბოლომდე იმ მანქანით სარგებლობდა. სტალინი ხომ, როგორც წესი, ყოველთვის და ყველაფერს სამამულო წარმოებისას იყენებდა, იმპორტულს ძალიან იშვიათად და ისიც მაშინ, თუ ის არ იწარმოებოდა ჩვენ ქვეყანაში.

სოჭში ერთხელ მანქანა გზაში გაგვიჩერდა და საჭირო გახდა, მანქანას ვინმე მოსწოლოდა. მართლაც, მოირბინეს მუშებმა და მანქანა გამოიყვანეს. სტალინმა მუშებს ჰკითხა, რამდენს ღებულობდნენ დღეში, მერე კი გასამრჯელო ყველას სათანადოდ გადაუხადა. „ამხანაგო სტალინ, რას ბრძანებთ, ჩვენ ამ მანქანას ხელით გავიტანდით! — უთხრეს მუშებმა, რაზეც სტა-

დასაწყისი იხ. № 65-140, 142, 143, 146

ჰილარი კლინტონს საყვარელი ქართული ღვინო გაუძვირდა

როგორც ცნობილია, 2010 წელს ჰილარი კლინტონი საქართველოში იმყოფებოდა. სწორედ აქ დაუგემოვნებია ქართული ღვინო – „ყვარელი“ (სპეციალური ჩამოსხმა, წითელი, მშრალი 2007). მას შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატი ამ ღვინის თაყვანისმცემელი ყოფილა.

2010 წელს ამ ღვინის ფასი სულ 25 ლარი (13,5 დოლარი) იყო, ხოლო კლინტონის სტუმრობის შემდეგ ღვინო 24-ჯერ გაძვირდა და დღეს ბოთლის ღირებულება 600 ლარს (255,6 დოლარი) გაუტოლდა. ვარაუდობენ, რომ ღვინის ფასი კიდევ გაიზრდება, თუ ჰილარი კლინტონი აშშ-ის პრეზიდენტი გახდება...

სასტუმროს ნომრები თუ... ფინანსური შოკი?!

ჟურნალმა „Elite Traveler“ მსოფლიოს ძვირად ღირებული და დიდებული სასტუმროს ნომრების ათეული დაასახელა.

ყველაზე ძვირი აღმოჩნდა 5-ოთახიანი სასტუმროს ნომერი ნიუ-იორკში, სასტუმრო „The Mark“-ში, სადაც ერთი დღე-ღამის გატარება 75 000 დოლარი დაგიჯდებათ.

მეორე ადგილზეა სამეფო პენტჰაუსი ჟენევაში – „President Wilson Hotel“ – ფასი აქაც 75 000 დოლარია.

მესამეა ვილა კუნძულ ფიჯიზე, რომელიც 44 000 დოლარი ღირს. მეოთხეა პენტჰაუსი სარდინიაზე – დღიური ფასი 38 000 დოლარი. მეხუთეზე პენტჰაუსია, ოღონდ ამჯერად ლონდონში – ფასი 35,5 დოლარი.

მეექვსე ადგილზეა ორსართულიანი ვილა ლას-ვეგასში, რომელიც 35 000 დოლარი ღირს, მეშვიდეზეა პენტჰაუსი კანში – 33, 800 დოლარი, მერვეზე სტამბოლის ერთ-ერთი სასტუმრო – 30,400 დოლარი, მეცხრე კი კვლავ ნიუ-იორკშია „Nev York Palace“ 25 000-დოლარიანი ნომრით.

ბოლო მეათეა „Faena Hotel“ – მაიამიში 20 000 დოლარი დღეში...

ზედმეტი წონა ტვინსაც აზიანებს?!

ბრიტანელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა სერიოზული კვლევები ჩაატარეს, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის ტვინზე ჭარბი წონა. აღმოჩნდა, რომ ჭარბწონიანთა ტვინი 10 წლით ხანდაზმულია, ვიდრე იმ ადამიანების, ვინც ზედმეტ კილოგრამებს არ უჩივის.

მეცნიერები დაინტერესდნენ, თუ როგორ მოქმედებს წონის მატება ტვინის დაბერებაზე. კემბრიჯის უნივერსიტეტში 500 ადამიანის ტვინი გამოიკვლიეს, რომელთა ასაკი 20-დან 87 წლამდეა. მათი უმეტესობა მსუქანი იყო, ნაწილი გამხდარი. აღმოჩნდა, რომ განსხვავება ტვინის სტრუქტურაში ნამდვილად არსებობს. 40 წლის შემდეგ პუტკუნა ადამიანის ტვინი უფრო მეტად ბერდება და მისი გარშემოწერილობაც იკლებს. 50 წლის მსუქანი ადამიანის ტვინი ისე გამოიყურება, როგორც 60 წლის კაცის. გამხდრებთან კი იგივე პრობლემა არ აღირიცხება.

მეცნიერები გვიმხელენ, რომ ამ თემასთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი კვლევაა ჩასატარებელი, რადგან ბოლო წლების განმავლობაში მთელ მსოფლიოში ჭარბწონიანთა რიცხვი ყოველდღე მატულობს.

8 წლის ბიჭი ბიზნესმენი გახდა...

ამერიკის შეერთებულ შტატებში 8 წლის ბიჭმა ჯალენმა საცხობის გასახსნელად ლიცენზია მოიპოვა. ამასთანავე, მან მშვენივრად შეისწავლა მარკეტინგის პრინციპები და კლიენტების მოზიდვის პიარი. დაწესებულებას „ჯალენის საფუნთუშე“ ჰქვია. ბიჭს სურს, დედას დაეხმაროს, რომ ახალი სახლი შეიძინონ.

ჯალენის საცხობში, პურის, მაფინების (კექსების), ორცხობელის ფართო ასორტიმენტია.

ბიჭუნა ოცნებობს, რომ მის ახალ სახლს დიდი სამზარეულო ჰქონდეს...

ქართველი ახალგაზრდის წარმატება დიდ ბრიტანეთში

ქართველმა გიორგი (გუკა) თავბერიძემ, დიდ ბრიტანეთში რამდენიმე წლის წინათ დააარსა კომპანია – „Savse“. დღეს უკვე მის სერიოზულ წარმატებებზე ცნობილი ტელეკომპანია BBC საუბრობს. გუკა ახლახან მიწვეული იყო BBC პირდაპირ ეთერში, სადაც საკუთარი წარმატების საიდუმლო გაამჟღავნა.

თავბერიძის კომპანიის ბრუნვამ ბოლო რამდენიმე წელიწადში 13-მილიონს მიაღწია!, ხოლო უკანასკნელი 12-თვის განმავლობაში გაყიდვები 600 პროცენტით გაიზარდა.

კომპანია „Savse“ ნატურალურ წვენებს გუკას დედის რეცეპტით ამზადებს. დედის სამზარეულოში შექმნილი რეცეპტის გაბიზნესების იდეა 5 წლის წინათ გაუჩნდა. ნატურალური წვენი ხილისა და ბოსტნეულის ნაზავს შეიცავს.

პროდუქცია ბრიტანეთის ცნობილ სუპერმარკეტებში იყიდება და მისი პოპულარობა ყოველწლიურად იზრდება. ყოჩაღ, თავბერიძე, გვიმრავლოს შენისთანები!

ყველაზე, ყველაზე, ყველაზე ძვირად ღირებული ქალაქების ათეული

წლევანდელი მონაცემებით, პირველ ადგილზე გავიდა ნიუ-იორკი. მეგაპოლისში ცხოვრება წელიწადში მინიმუმ 114 009 დოლარი დაგიჯდება. მეორე ადგილზე აზიის ფინანსური ცენტრი ჰონგ-კონგია. იქ ცხოვრება წელიწადში 100 984 ათასი დოლარი ღირს.

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ **ლონდონს** მესამე ადგილი უჭირავს – 100 141 ათასი დოლარით წელიწადში.

აზიის ყველაზე ძვირი ქვეყნის იაპონიის დედაქალაქი **ტოკიო** მეოთხე ადგილზეა. აქ ცხოვრება 85 331 ათასი დოლარი ჯდება.

სიყვარულის ქალაქმა **პარიზმა** მეხუთე ადგილი დაიკავა – წელიწედში 82. 880 ათასი დოლარი.

მეექვსეზეა აშშ ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი **სანფრანცისკო,** წლიური თანხა აქ 66 269 ათას დოლარს შეადგენს.

მეშვიდე ადგილზეა აზიის ერთ-ერთი ფინანსური და სავაჭრო ცენტრი **სინგაპური** – 61 335 ათასი დოლარი.

დუბაიმ მერვე ადგილი დაიკავა – 53 913 ათასი დოლარით წელიწადში.

ავსტრალიის ფინანსური და ეკონომიკური ცენტრი სიდნეი კი მეცხრე ადგილზეა – წლიური ხარჯი 50.768 ათასი დოლარი.

მეათე ადგილს კი **ლოს-ანჯელესი** იკავებს – 50 215 ათასი დოლარით წელიწადში...

იტალიური გაზეთის რედაქტორი ოლიმპიელების გაქილიკებისთვის გაათავისუფლეს

რიოს მიმდინარე ოლიმპიადაზე, სამი იტალიელი მშვილდოსანი გოგონები ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, დამარცხდნენ. გაზეთ „Quitidiana Sportivo“-ს რედაქტორმა ჯუზეპე ტასმა კი მათზე სტატია შემდეგი სათაურით გამოაქვეყნა: „სამმა პუტკუნამ ოლიმპიური სასწაული ხელიდან გაუშვა“.

მის სტატიას ხალხში დიდი აღშფოთება მოჰყვა – მხარდაჭერის მაგივრად, სპორტსმენებს დასცინისო...

მოგვიანებით, გაზეთის გამომცემელმა საზოგადოებას ბოდიში მოუხადა და ჯუზეპე ტასი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

მასმედია ხელს უწყობს მასობრივ მკვლელობებს!

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ მასმედიის მიერ გაშუქებული მრავალი მკვლელობისა თუ მძიმე დანაშაულის ფაქტი, ერთობ უწყობს ხელს პოტენციურ მკვლელობებს.

მეცნიერებმა აგრეთვე ჩამოაყალიბეს ამ პოტენციური დამნაშავეების პროფილი. ისინი ძირითადად 20-50 წლამდე, თეთრკანიანი მამაკაცები არიან, რომლებიც იმყოფებიან ღრმა დეპრესიაში, გაურბიან სოციუმს და შეპყრობილი არიან პათოლოგიური ნარცისიზმით, აწუხებთ განდიდების მანია!

ფსიქოლოგები ვარაუდობენ, რომ პათოლოგიური მკვლელები, თავიანთი საქციელით, ტელევიზიისა თუ ინტერნეტის საშუალებით, ცდილობენ ყურადღების ცენტრში ყოფნას.

იმათი აზრით, თუ მასმედია შეძლებს და შეამცირებს მსგავსი ინფორმაციების გაშუქებას, ერთ-ორ წელიწადში, დავინახავთ, რომ მასობრივი მკვლელობების ფაქტები შესამჩნევად შემცირდება!

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

დანართი 1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016 წლის „10 აგვისტოს“
№ 01-3/247 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი პირობები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. ვარჯანისის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება”. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 10 000 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარჯანისი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	1 740 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	174,00 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	700 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 12 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი 1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016 წლის „10 აგვისტოს“
№ 01-3/248 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული წყაროს წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, წყაროს წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას წყაროს წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალ-დებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) უნდა განხორციელდეს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე; ი) უზრუნველყოს სანიტარიული ზონების დადგენა და დაცვა; კ) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნამლისევის მიმდებარედ წყაროს წყლის მოპოვება ჩამოსხმისხმის მიზნით, (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა შეადგენს 60 მ³/წელიწადში)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნამლისევის მიმდებარე ტერიტორია
7	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 12 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ ძიუდო

როცა თავს ზემოთ ძალა არაა

რიოში ძიუდოისტთა ტურნირის მეექვსე დღეს 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენებურთაგან 20 წლის ბექა ღვინიაშვილმა იჭიდავა, რომელსაც სტარტზე მეტოქედ ბრიტანელი ბენჟამენ ფლეტჩერი ჰყავდა. ქართველმა ფალავანმა თავიდანვე აგრესიულად შეუტია და წარმატების მისაღწევად ორწუთნახევარი იკმარა: ჯერ ვაზარი აართვა, მერე შებოჭა. მეორე წრეში „ჯვაროსანი“ ბელგიელ ტომა ნიკიფოროვს დაუპირისპირდა. ჩვეულ სტილს არც აქ უღალატა – თავიდან იუკო, მერე ორი ვაზარი დაიმსახურა და მეოთხედფინალში გავიდა. ქართველი ძიუდოისტის წინსვლა ფრანგმა სირილ მარემ შეაჩერა – ვაზარით მოუგო ჩვენებურს. ღვინიაშვილი დამამშვიდებელში გადაერთო, სადაც ფორტუნამ იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ ჰაგა რიუნოშუკეს შეახვედრა. ორთაბრძოლის ბედი ერთმა შიდომ გადაწყვიტა – არბიტრმა ბექა ორჯერ გააფრთხილა, იაპონელი – ერთხელ. შეხვედრის მიწურულს ქართველ სპორტსმენს დაღლილობა დაეტყო, მდგომარეობის გამოსწორება ვერ შეძლო და სადებიუტო ოლიმპიადაზე უმედლოდ დარჩა.



გივი გაგუა

◎ კალათბურთი

ლებრონის 100- მილიონიანი კონტრაქტი



ლებრონ ჯეიმსი „კლივლენდ კავალიერზთან“ 100-მილიონიან კონტრაქტზე შეთანხმდა, აღნიშნულ ინფორმაციას ESPN-ი ავრცელებს. წყაროს ცნობით, „მეფე“ და „კავალიერზი“ 3-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებენ და ლებრონი წელიწადში 33 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს, რაც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციისთვის რეკორდული მაჩვენებელია.

შეგახსენებთ, რომ განვლილ სეზონში ლებრონ ჯეიმსი „კლივლენდთან“ ერთად ნბა-ს ჩემპიონი გახდა. ჯეიმსი ისტორიაში მეოთხე კალათბურთელია, ვინც ფინალური სერიის MVP სამჯერ გახდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ალეტა და ბირთვისმკვრელი ბიჭები

მრავლისმნახველი და მრავლისშემძლე ამერიკელი პორნოვარსკვლავი ალეტა ოუშენი სხვა მისი კოლეგებისგან განსხვავებით მხოლოდ პორნოფილმების სტუდიაში არ მოსახლეობს და მისთვის საოცარი შრომით მოპოვებული ფულის გონივრულად დახარჯვა ერთგვარ ჰობის წარმოადგენს.



იმაზე გონივრული კი რა უნდა იყოს, რომ ადგები, რამდენიმე შენსავით პორნოვარსკვლავ მეგობარს მოაგროვებ და რიო-დეჟანეიროში გადაფრინდები ზაფხულის ოლიმპიადაზე დასასწრებად... ალეტა არ ამხელს, კონკრეტულად რომელ სპორტსმენებზე ამოსდის მზე და მთვარე, თუმცა, ამერიკელ ათლეტებს რომ უქომაგებს – ცხადია.

ისე, ერთ რამედ ღირს, ტრიბუნაზე რამდენიმე ტალიკ-ტალიკა პორნოვარსკვლავი რომ შემოსკუპდება და ბირთვის კვრაში შეჯიბრს თვალს ინტერესით ადევნებს. ბირთვის კვრა მათთვის წესით ერთობ მოსაწონი და საინტერესო სპორტის სახეობა უნდა იყოს. ოლიმპიადაზე ბირთვსა და მის დაშხოშიანად მკვრელებს რა დალევს...

◎ საფეხბურთო მოზაიკა

„ლომები“ დღეს იწყებენ

English Premier League 2016-17

გთავაზობთ ინგლისის პრემიერლიგის I ტურის წინ ტრანსფერებული და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელების ნუსხას.

13 აგვისტო

„ჰალი“ – „ლესტერი“

„ჰალი“ – ტრანსფერებულნი: ბრიუსი, დოუსონი, მაკგრეგორი, ოდუბაჯო. **დისკვალიფიკაცია:** ჰუთი.

„ლესტერი“ – **ტრანსფერებულნი:** ჯეიმსი.

„ბარნლი“ –„ სუონსი“

„ბარნლი“ – ტრანსფერებულნი: არავინ.

„სუონსი“ – **ტრანსფერებულნი:** ფერნანდესი.

„კრისტალ პალასი“ – „ვესტ ბრომვიჩი“

„კრისტალ პალასი“ – ტრანსფერებულნი: კემპბელი, საკო, ტომკინსი, აპია.

„ვესტ ბრომვიჩი“ – ტრანსფერებულნი: ბრანტი.

„ევერტონი“ – „ტოტენჰემი“

„ევერტონი“ – ტრანსფერებულნი: პეშიჩი, პენინგტონი, ბრაუნინგი. დისკვალიფიცირებული: დემბელე.

„ტოტენჰემი“ – ტრანსფერებულნი: ვერტონგენი, ნ'ჯიე.

„მიდლსბრო“ – „სტოკი“

„მიდლსბრო“ – ტრანსფერებულნი: ესპინოსა, აიალა, ჰასბენდი, ლედბიტერი.

„სტოკი“ – ტრანსფერებულნი: აფელაი, აირლენდი.

„საუთჰემპტონი“ – „უოტფორდი“

„საუთჰემპტონი“ – ტრანსფერებულნი: ბერტრანი.

„უოტფორდი“ – ტრანსფერებულნი: გილმარტინი, ქეთქართი.

„სიტი“ – „სანდერლენდი“

„სიტი“ – ტრანსფერებულნი: გიუნდოგანი.

„სანდერლენდი“ – ტრანსფერებულნი: დეფო.

14 აგვისტო

„ბორნმუთი“ – „მანჩესტერი“

„ბორნმუთი“ – ტრანსფერებულნი: მინგსი, ჰინდმენი.

„მანჩესტერი“ – ტრანსფერებულნი: ბორსვიკ-ჯექსონი. **დისკვალიფიცირებული:** სმოლინგი.

„არსენალი“ – „ლივერპული“

„არსენალი“ – ტრანსფერებულნი: გაბრიელი, ჯენკინსონი, მერტესაკერი, ველბეკი.

„ლივერპული“ – ტრანსფერებულნი: ოჯო, სახო, გომესი, კარიუსი.

15 აგვისტო

„ჩელსი“ – „ვესტ ჰემი“

„ჩელსი“ – ტრანსფერებულნი: ზუმა.

„ვესტ ჰემი“ – ტრანსფერებულნი: ლანცინი, კრესველი.

პაოკი, აეკი და „პანათინაიკოსი“ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას ბოიკოტს უცხადებენ

საბერძნეთის საფეხბურთო ჩემპიონატი, შესაძლოა, დაგეგმილ დროს არ დაიწყოს. ქვეყნის წამყვანი კლუბები „პანათინაიკოსი“, პაოკი და აეკი ჩემპიონატის სტარტს ბოიკოტს უცხადებენ. ამის მიზეზი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებაა, რომელმაც უეფასთან შეთანხმების მიუხედავად მატჩებზე მსაჯების დანიშვნის სისტემის შეცვლაზე უარი თქვა.

„არ გვსურს დანაშაულებრივი ორგანიზაციის ნაწილი ვიყოთ. ჩემპიონატი ხელებგასვრილი ხალხის ხელმძღვანელობით და მოედანზე მათნაირი მსაჯებით არ უნდა დაიწყოს“ – აცხადებენ აღნიშნული კლუბების წამომადგენლები. საბერძნეთის ჩემპიონატის 2016-2017 წლების სეზონის პირველი ტური 20 აგვისტოსაა დაგეგმილი.

ჰაქან შუქურს ამბოხებულთა მხარდაჭერაში ადანაშაულებენ

თურქეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილ თავდამსხმელს ჰაქან შუქურს თურქეთში 15 ივლისს მომხდარ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობაში სდებენ ბრალს.

როგორც ევროპული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, 44 წლის ექსფეხბურთელს და მის მამას ამბოხების ორგანიზატორთა მხარდაჭერაში ადანაშაულებენ და ორივე მათგანის დასაკავებლად ორდერია გაცემული.

შუქური წარმატებული საფეხბურთო კარიერის შემდეგ პოლიტიკაში წავიდა და თურქეთის პარლამენტის წევრი გახდა. ცნობილია, რომ მას ბოლო პერიოდში დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ქვეყნის პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანთან – მიმდინარე წლის თებერვალში შუქურს სოციალურ ქსელში ერდოღანისა და მისი ვაჟის შესახებ გამოქვეყნებული შეურაცხმყოფელი განცხადების გამო ედავებოდნენ და ოთხწლიანი პატიმრობა ემუქრებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, შუქური ოჯახთან ერთად ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება.

ძაძა „ვოლფსბურგს“ შეუთანხმდა

იტალიელი შემტევი სიმონე ძაძა კარიერას „ვოლფსბურგში“ გაგრძელებს. აღნიშნულ ინფორმაციას Football Italia ავრცელებს. წყაროს ცნობით, 25 წლის ფეხბურთელმა გერმანულ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი შეათანხმა, ტურინის „იუვენტუსი“ კი მისი ტრანსფერის სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს მიიღებს. ძაძას „ბებერი ქალბატონიდან“ გაშვების მთავარი მიზეზი იგუაინის დამატება გახდა.

სიმონე ძაძა ტურინულ კლუბში 2015 წელს „სასუოლოდან“ გადავიდა.

გიორგი ზოთაძე.

◎ საგარეო ვაჭრობა

გზა ევროპაზრისკენ: მოლოდინი და პერსპექტივები

ბევრი ჩვენი თანამოქალაქე, ახლო მომავალში ევროკავშირის მიერ საქართველოსთან ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი — ვიზალიბერალიზაციის საკითხის დადებითად გადაწყვეტას რომ ელის, ამას დიდ იმედებს უკავშირებს. მრავალთა აზრით, ეს გარემოება მათ ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალურად მუშაობის საშუალებას მისცემს, თუმცა კი, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის და თავად ამ ორ სუბიექტს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას შრომითი რესურსების გადაადგილებასთან საერთო არაფერი აქვს, ეს ცალკე შეთანხმების თემაა.

ევროკავშირთან საქართველოს მიერ ღრმა, ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის თაობაზე მიღწეული შეთანხმება კი (DCFTA), უწინარესად, მხოლოდ საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებას გულისხმობს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ეკონომიკური განვითარებისთვის ამ ტიპის უმნიშვნელოვანესი შეთანხმებები დღეს-დღეობით მოქმედებს, კერძოდ, თურქეთთან (თანაც უმაღლეს დონეზე ორ ქვეყანას შორის ბოლოდროინდელი კონტრაქტების შემდგომ მასთან ეკონომიკური ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური გახდება), ასევე ჩინეთთან და ისეთ საერთაშორისო გაერთიანებებთან, როგორებიცაა მაგალითად, დსთ და სუამი.

გაერთიანებულ ევროპასთან სავაჭრო-ეკონომიკურ-ფინანსური ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაფართოება, თავისთავად, კარგი რამაა, მაგრამ ჩვენი მოსახლეობისთვის მთავარი ისაა, თუ რა სარგებელს უნდა ელოდონ აქედან ქვეყნის რიგითი მოქალაქეები. ამასთან დაკავშირებით ექსპერტები, პირველ ყოვლისა, იმის ვარაუდს გამოთქვამენ, რომ ფართო მოხმარების საგნები საშუალოდ დაახლოებით 10 პროცენტის ფარგლებში გაიაფდება. ამას, ბუნებრივია, ევროკავშირის ქვეყნებიდან იმ სახეობის საქონლის შემოტანა განაპირობებს, რომელსაც ჩვენ ნაკლებად, ზოგ შემთხვევაში კი საერთოდაც არ ვაწარმოებთ — ვთქვათ, მარცვლეულ კულტურებს, ნავთობპროდუქტებს, ავტომანქანებს, საკურნალო საშუალებებს, საყოფაცხოვრებო ტექნიკას, თამბაქოს, ასევე, ჩვენთვის სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ნაწარმს, თანაც ამ ორ უკანასკნელ პოზიციაზე საქართველოს იმპორტის თითქმის 70 პროცენტი(!) მოდის. ამ მხრივ კიდევ ერთი მეტად არასახარბიელო გარემოება ის გახლავთ, რომ ჩვენი ექსპორტის საქონლის წამყვანი სასაქონლო ჯგუფები, თუმცა კი გარკვეული გამონაკლისით, კერძოდ, ღვინის, მინერალური წყლის, სასუქების, თხილსა და კაკლის, ზოგიერთი სხვის გარდა, ძირითადად ნედლეულით, მათ შორის სპილენძისა და პოლიმეტალური მადნებით, კონცენტრანტებით, ნავთობით, ასევე ხე-ტყითაა წარმოდგენილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამამულო გადამმუშავებელი და მაღალტექნოლოგიური დარგები ძალიან სუსტადაა განვითარებული. ამდენად, ჩვენი უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსის მთავარი მიზეზიც სწორედ ეს გახლავთ, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობის ეკონომიკურ და, შესაბამისად, სოციალურ ყოფაზე უაღრესად უარყოფითად აისახება. აღვნიშნავთ იმასაც, რომ სადღეისოდ ევროკავშირის ქვეყნებზე საქართველოს ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები დაახლოებით ტოლია და, შესაბამისად, 30 და 32 პროცენტს შეადგენს.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ზემოჩამოთვლილ ჩვენს უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პარტნიორებს — თურქეთს, ჩინეთს, ახლა უკვე ევროკავშირის ქვეყნებს, სამამულოზე გაცილებით მძლავრი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მრეწველობა აქვთ, რაც საქართველოს წინაშე რამდენიმე მეტად მნიშვნელოვან, თანაც საკმაოდ სწრაფად გადასაჭრელ პრობლემას აყენებს. მათ შორის უწინარესად გამოსაყოფია სტანდარტების შესაბამისობა, გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარება, წამყვანი საექსპორტო სასაქონლო დარგების პროდუქციის კონკურენტიანობის საკითხი, კერძოდ, მისი ხარისხი და ფასი, რაზეც უცხო ბაზრებზე დამკვიდრების პროცესი იქნება დამოკიდებული და სხვ. ამასთან, ევროკავშირიდან იმპორტული საქონლის მოზღვავების პირობებში გასათვალისწინებელია სამამულო მწარმოებელთა მიერ გამოშვებული პროდუქციის გასაღების ბაზრის სავარაუდო შემცირების პრობლემა.

ევროკავშირთან ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის შესახებ შეთანხმების სრულფასოვნად ამოქმედების შედეგად, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში, იმპორტის მოცულობის ნახტომისებრ ზრდას მაინც არ ვარაუდობენ. ამის დადებითი შედეგები კი ქვეყანაში უცხოური კაპიტალის, მაღალი ტექნოლოგიების შემოდინების მომძლავრებით, ბიზნესის გააქტიურებით, დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების საგრძნობი მატებით და ზოგიერთი სხვა არანაკლებ საყურადღებო გარემოებით უნდა გამოიხატოს.

აღნიშნული შეთანხმების სრული პოტენციალის ქვეყნისთვის მაქსიმალურად სასიკეთოდ გამოსაყენებლად აუცილებელი პირობა საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ევროპულ რეგულაციებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანაზე იქნება დამოკიდებული, რაც უახლოეს ოთხ წელიწადში უნდა განხორციელდეს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ სულიერება

შემოყვანება პატიოსანთა ძელთა უფლის ცხოველსმყოფელის ჯვარისა

14 აგვისტოს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს შემოყვანებას პატიოსანთა ძელთა უფლის ცხოველსმყოფელისა ჯვარისა.

ცნობილია, რომ ეკლესია ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდის ცხოველსმყოფელი ძელის შემოყვანებას დღესასწაულობს წელიწადში ორჯერ 14 აგვისტოს და დიდმარხვის მესამე კვირიაკეს... ცისკრის ლოცვაზე სრულდება ჯვრის თაყვანისცემის წესი — შუა ეკლესიაში გამოსვენება ჯვარი და მის წინაშე დიდი მეტანიგბით იგალობება: „ჯვარსა შენსა თაყვანის-ვცემთ, მეუფეო და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ“.

აპოკრიფული თხზულების მიხედვით ძელი, ხე (რომელზედაც მიმსჭვალული იყო მაცხოვარი) წარმოშობილი იყო სასწაულებრივად: საროს, ფიჭვისა და ნაძვის შეერთების შედეგად. ამ ხის მონაჭერ ადგილას, იერუსალიმის მახლობლად, როგორც ცნობილია, დაარსდა ჯვარის მონასტერი.

ქრისტეს ჯვარს საღვთო წერილში აქვს ამამაღლებელი სიმდაბლის, ცხოვრების ძელის მნიშვნელობა.

ქრისტეს ჯვრის მაცხოვრის გარდამოხსნის შემდეგ კარგახანს (300 წ.) დაარული იყო მორწმუნეთათვის. მხოლოდ 326 წელს კონსტანტინე დიდის დროს, ელენე დედოფალმა სასწაულებრივად იპოვა იგი გოლგოთაზე.

გადმოცემის თანახმად საუფლო ჯვრის (ძელი ცხოველის) ნაწილი (აგრეთვე სამჭვალი) საქართველოში ჩამოუტანიათ!

გიული ლიპარტია

განახლებულაივნიანი სახლები ჩუღურეთში

ჩუღურეთის რაიონის გამგებელი ზურაბ ჩიკვილაძე, აღმაშენებლის გამზირის 34/17-ისა და სუნდუკიანის ქუჩის №12-ში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა და აივნების აღდგენითი სამუშაოები დაათვალიერა.

„აღმაშენებლის 34/17-ში მდებარე სახლი თითქმის ორსაუკუნოვან ისტორიას ითვლის, მისი აივანი სავალალო მდგომარეობაში იყო. ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ აივნის აღდგენითი სამუშაოები დააფინანსა და აქ მცხოვრები 10 ოჯახისთვის გარემო უსაფრთხო და კომფორტული გახდება,“ — განაცხადა ზურაბ ჩიკვილაძემ.

ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თანადაფინანსებით, სუნდუკიანის ქუჩის №12-ში სახლის გამაგრებითი სამუშაოები უკვე დასრულდა. ამჟამად აივნის აღდგენა მიმდინარეობს.

◎ ისტორიის ნამცვრევები

დიდი ინკვიზიტორი თომას ტორკვემადა - ერეტიკოსთა ურო

(მეექვსე გვერდიდან) დაპატიმრებულებს ერესში (უღმერთობაში) სდებდნენ ბრალს, შემდეგ იწყებოდა საიდუმლო პროცესი. პატიმარს ადვოკატი და დამცველი არ ჰყავდა. თუ ინკვიზიციას არ ჰქონდა ორი ბრალმდებლის ჩვენება, თუ ბრალდებული დანაშაულის ადგილზე არ იყო დაჭერილი ან თუ ის დანაშაულს არ აღიარებდა, ინკვიზიტორებს უფლება ჰქონდათ, წამება გამოეყენებინათ. წამებით მიღებული აღიარება ნებაყოფლობითად ითვლებოდა.

მონათლულ ებრაელთა ყველაზე რბილი სასჯელი ქონების კონფისკაცია იყო. ეს ზომა ფართოდ გამოიყენებოდა, ყველაზე ხშირად ინკვიზიცია მიმართავდა ერეტიკოსთა საქვეყნოდ დამცირებას: მათ ხალხით სავსე ქუჩებში დაატარებდნენ სანბენიტოში — სპეციალურ ყვითელ ხალათში გამოწყობილთ და მთელი გზა ეკლესიამდე დაუნდობლად ამათრახებდნენ.

სასჯელის უმაღლესი ზომა კოცონზე ცოცხლად დაწვა იყო. იმ ერეტიკოსებს, რომლებიც დასჯამდე მონანიებას და ჯვრისთვის ამბორს მოასწრებდნენ, კოცონის გაჩაღებამდე ახრჩობდნენ. ეს დიდ წყალობად ითვლებოდა. თუ სიკვდილმისჯილნი ინანიებდნენ, მათ მშრალ შეშაზე წვავდნენ, რომელიც სწრაფად იწვოდა, ხოლო მოუნანიებელთ — ნესტიან შეშაზე, რომელიც ნელა და ცუდად იწვოდა და ტანჯვას ჰმატებდა განწირულთ.

ტორკვემადა გამოირჩეოდა სისასტიკით, ვერაგობით, შურისმგებლობითა|| და კოლოსალური ენერგიით, რამაც ქვეყნის მონარქების იზაბელასა და ფერდინანდის მისდამი დიდ ნდობასთან ერთად, ესპანეთის ნამდვილ დიქტატორად აქცია. მის წინაშე ცახცახებდნენ არა მხოლოდ მსხვერპლნი, არამედ მომხრენი და თაყვანისმცემლებიც, რამეთუ მას არაფრად უღირდა ნებისმიერისთვის, ყველაზე მართლმორწმუნე კათოლიკესთვისაც კი, ერესი დაეწამებინა და კოცონზე აეყვანა.

ტორკვემადას ადამიანები სძულდა, არ ენდობოდა მათ, თავს მიიჩნევდა ღვთის იარაღად და ხალხს დამშვიდებული სინდისით უშვებდა კოცონზე. გარეგნულად გამოირჩეოდა მშვიდი და უბრალო ყოფაცხოვრებით. სინამდვილეში კი მგელი იყო, რომელიც თვით ხელმწიფეთა წინაშეც არ იხევდა უკან. ერთხელ ტორკვემადამ შეატყო, რომ იზაბელა და ფერდინანდი, რომლებსაც ქრონიკულად არ ჰყოფნიდათ ფული, თავს იკავებდნენ ორი მდიდარი ებრაელის დასჯაზე — ბრალდებულნი თანახმანი იყვნენ 30 ათასი დუკატი შეეტანათ ხაზინაში განთავისუფლების სანაცვლოდ. დიდი ინკვიზიტორი შეიჭრა მეფეთა სამყოფში, მაგიდაზე ჯვარცმა დაადგო და მრისხანედ წამოიყვირა: იუდამ ქრისტე 30 ვერცხლად გაყიდა, თქვენ კი გინდათ მისი გაყიდვა 30 ათას ვერცხლად. გააკეთეთ როგორც გინდათ, ოღონდ მე-რე არ თქვათ, რომ ამაში მეც ვიღებდი მონაწილეობასო. ტორკვემადას გამოხდომამ სასურველი შედეგი გამოიღო. რამდენიმე დღის შემდეგ (1490 წ.) გამოქვეყნდა ესპანეთიდან ებრაელთა განდევნის ედიქტი.

„მუშაობის“ 18 წლის მანძილზე ტორკვემადამ, ერთ-ერთი გამოთვლით, ცოცხლად დაწვა 10220 ადამიანი, ხოლო 6860 „ერეტიკოსი“ დაწვა ფიგურალურად — სიკვდილის შემდეგ, 97321 კაცი თუ ქალი სახალხოდ შეურაცხყვეს და დაამცირეს, გაყარეს საზოგადოებრივი თუ საპატიო თანამდებობებიდან. ამ ბარბაროსულმა გვემამ საერთო რაოდენობით 100400 სამუდამოდ გაუბედურებული ოჯახი მოიცვა.

ერეტიკოსთა დევნა თვით XIX საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა.

ტორკვემადა არა მხოლოდ ტერორის ორგანიზატორი, არამედ „თეორეტიკოსიც“ იყო. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ინკვიზიციის კოდექსი, რომელიც 28 სტატიას (ინსტრუქციას) შეიცავდა. 1484 წლით დათარიღებულ ამ დოკუმენტში შეჯერებულია პაპის ტახტის დირექტივები და ესპანეთისა და სხვა ქვეყნების ინკვიზიციის ტრიბუნალების გამოცდილება. ტორკვემადას კოდექსით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დასმენას.

ტორკვემადას მრავალი მტერი ჰყავდა, ამიტომ ძალიან უფრთხოდა თავდასხმას. 250 ქვეითი და 50 ცხენოსანი მცველის თანხლებით თუ გაბედავდა, გზას გასდგომოდა.

თავისი ცოდვილი სული ეშმაკს 1498 წელს მიაბარა.

მოამზადა
სანდრო ალექსიძე

ირაკლი ოთხი შვილის მამაა! ვულოცავთ!

ირაკლი ღარიბაშვილი მეოთხე შვილის მამა გახდა. ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და ნუნუკა თამაზაშვილს 3 ვაჟის შემდეგ ქალიშვილი შეეძინათ.

ნინო ღარიბაშვილი გუშინ გამთენიისას დაიბადა.

„მე და ნუნუკას მე-4 შვილი შეგვეძინა! ნინო ღარიბაშვილი! ვამაყობ ჩემი მეუღლით!“ — წერს ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე.

გილოცავთ გამრავლებას ღირსეულო მამულიშვილნო!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების თანათავმჯდომარეს, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის გამორჩეულ ერთ-ერთი წინამძღოლს, რესპუბლიკური გაერთიანება საქრძის ყოფილ თავკაცსა და მაღალი ადამიანური თვისებებით შემკულ, უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

დავით დათოშვილს.

◎ ანეკდოტები

— **ამინდის** პროგნოზი თუ მეისმინე, თამუნა?

— სადილის შემდეგ იწვიმებს.

— ვაი, მე კიდევ ქოლგა სახლში დამრჩა!

— შენც ნუ ისადილებ, რა მოხდება?!

* * *

— **ბიჭებო,** ხვალ ყველანი ჩემთან სახლში ამოდით — ბარის ცივი ლუდი მექნება, კარგი ხინკალი და მაგარი თევზი, კახური ჭაჭაც...

— აუჰ, აგაშენა ღმერთმა! ნაშები თუ იქნება?

— ნაშებსაც უკვე მოველაპარაკე — ნაშები არ იქნებიან, ხელს არავინ შეგვიშლის!

* * *

— **ძმარი** — ეს ისეთი მამაკაცია, რომელსაც დედიშობილაც უნახიხართ, დილით უმაკიაჟო და თმააბურძგნილი, ატირებულიც და ათასი სისულელის მთქმელი, ცოტა შეზარხოშებულიც, მაგრამ რომელიც, რატომღაც, მაინც ცხოვრობს თქვენთან.

* * *

— **შეხედე,** ბიჭო, პუჭუჭია, ე, ვარსკვლავი მოწყდა ციდან! ჩქარა ჩეიფიქრე რამე!

— მინდა რომ ჭიპის მაგივრად შტეფსელი მქონდეს, რომლიდანაც მობილური ტელეფონის დატენვა უპრობლემოდ შემეძლებოდა!

— აუ, შენ რა შუაღამე ყოფილხარ, ბიჭო! ვის გოუგია, კაცო, სურვილის ხმამაღლა წარმოთქმა? ელოდე ახლა შენ, როდის აგისრულდება მაი ნატვრა!..

* * *

— **ალო,** რესტორანია? გენაცვალე, საღამოს 8 საათისთვის თქვენთან მაგიდის დაკვეთა გვინდა, შეიძლება?

— რა თქმა უნდა, ბატონო, პრობლემა არაა. ერთი ეს მიბრძანეთ: სკამებსაც თუ დაუკვეთავთ?

◎ ყველაფრის მკადრეებელნი

რა შუაშია ხელისუფლება, თქვე მართლა ქურდბაცაცებო!

„ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გორში ბადრი ბასიშვილი ხელისუფლებას მათ წევრებსა და აქტივისტებზე ზეწოლაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ პარტიის რამდენიმე წარმომადგენელს ბოლო პერიოდში მსხვილფეხა პირუტყვი მოპარეს.

„ბოლო პერიოდში ჩვენს აქტიურ წევრებზე მიმდინარეობს როგორც ზეწოლა, ასევე შანტაჟი. ეს გამოიხატება შემდეგი ქმედებით — ჩვენი ერთ-ერთი სოფლის, იმერეთის კოორდინატორის ოჯახიდან კრიმინალების მიერ იქნა მოპარული მსხვილფეხა პირუტყვი. გარდა ამისა, 5 დღის წინ ჩვენი საკრებულოს წევრის ივანე ნუსხელიძის ოჯახიდან გაიტაცეს 10 სული ძროხა, რაც ასევე მის პოლიტიკურ აქტივობას უკავშირდება“, — განაცხადა ბასიშვილმა და მომხდარზე რეაგირებისკენ შსს-ს მოუწოდა.



P. S. იმასაც ამბობენ, ბასიშვილი კომბლესავით სოფელ-სოფელ დადის და ეჭვმიტანილებს კბილების დაკრეჭას აიძულებს, იქნებ ჩიჩია ვუპოვოო, მაგრამ ამაოდ — მისმა პრეზიდენტმა ხომ ნახევარ საქართველოს კბილები დააძრო ოთხი წლის წინათ წინასაარჩევნოდ დაპირების დროს....

მარათონი რიოს ოლიმპიადა 2016 -ის მონაწილეებს ეძღვნება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივით, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ველოტური გაიმართა, რომელმაც სტარტი „მზიურის“ პარკიდან აიღო და რუსთაველის გამზირის გავლით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინიტროსთან დასრულდა.

ველოტურში მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა მონაწილეობა სამინისტროს ახალგაზრდა თანამშრომლებთან და მოხალისეებთან ერთად მიიღო. მარათონელები „Drum School“-ის მოსიარულე დრამერებმა გაამხენევეს.

უწყებაში აღნიშნავენ, რომ ღონისძიების მიზანია, ხელი შეუწყოს მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების სტილის პროპაგანდას, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის პოპულარიზაციას და ამ მხრივ ჰაერის დაბინძურების შემცირებას. ამ დღეს საფუძველი გაეროს ასამბლეის 1999 წლის 17 დეკემბრის რეზოლუციით ჩაეყარა და 2000 წლის 12 აგვისტოს ცივილიზებულმა სამყარომ პირველად აღნიშნა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.

სპორტულ-გასართობი მოედნები და ატრაქციონები საბავშვო ბაღებისთვის

ახალი სააღმზრდელო წლიდან თბილისის 40-მდე საბავშვო ბაღის აღსაზრდელს კეთილმოწყობილი ეზო დახვდებათ.

სამუშაოები მოიცავს ეზოს ზედაპირის მოპირკეთებასა და სპორტულ-გასართობი მოედნების მოწყობას. ბავშვების უსაფრთხოების მიზნით, მიწის გარკვეულ საფარზე, იქ სადაც საბავშვო ატრაქციონი მონტაჟდება, კაუჩუკის ფილები დაიგება. გასულ წელს სპორტულ-გასართობი მოედანი თბილისის 40 საბავშო ბაღში მოეწყო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.341; ევრო - 2.608;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.036;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.443;
1000 სომხური დრამი - 4.92

ამინდი 13 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +19,	დღე +38
მთიანი რაიონები -	ღამე +14,	დღე +34
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +19,	დღე +36
მთიანი რაიონები -	ღამე +16,	დღე +35
თბილისი:	ღამე +23,	დღე +37

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE